# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 65-66 -67-68 ნიუ-იორკი, ოქტომბერი, 1964 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, OCTOBER 1946


ნიუ-იორკი. ოქტომბერი, 1964 წ.

## „კულტურულ ურთიერთობისათვის“

„ქართული აზრის “რედაქციამ მიიღო სხვა და სხვა ქვეყანაში, და თვით შეერთებულ შტატებში მცხოვრებ თანამემამულეებისაგან წერილები, რომლებსაც თან ახლდა აღ. ბერლინში გამომავალ საპროპაგანდო გაზეთის „სამშობლოს ხმის“ რედაქციის მიერ გავრცელებული დასტამბული წერილები.

„სამშობლოს ხმის“ რედაქცია ქართველ ემიგრანტებს მოუწოდებს ითანამშრომლონ მათ გამოცემაში და ეკითხება: „...უპასუხებს თუ არა ჩვენი საგაზეთო და რადიომასალები თქვენს ფიქრებსა და გრძნობებს? რა ნაკლოვანებები შენიშნეთ?“ და სთხოვენ აცნობონ „რა ახალ მნიშვნელოვან და თქვენთვის საინტერესო თემებსა და საკითხებს მივაქციოთ ყურადღება“-ო. სჩანს ამან წარმოშვა ჩვენს თანამემამულეებში აზრი, რომ „სამშობლოს ხმის“ რედაქციისათვის რამოდენიმე შეკითხვა მიეცათ· ამიტომ ყოველმა მათგანმა სხვა და სხვა საკითხის გამოქვეყნება გვთხოვა. ამ ჟამად ვაქვეყნებთ შეჯამებული კითხვების ერთ ნაწილს. ვეცდებით მომავალშიც არ მოვაკლოთ „სამშობლოს ხმას“ არც შეკითხვები და არც მათ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციების „ჩვენებური“ ახსნა-განმარტება.

ამ „წესიერ აღებ-მიცემობას“ ისიც გვავალდებულებს, რომ „სამშობლოს ხმის“ რედაქცია იმდენად „ჰუმანური და მწყალობელი“ აღმოჩნდა, რომ თვით „ქართული აზრის“ რედაქტორსაც გამოუგზავნა თავისი გაზეთი. აბა რაღა გვეთქმის თუ არა დიდი მადლობა და აღ უთქვავთ, რომ ჩვენ მომავალშიც არ მოვაკლებთ ჩვენს გამოცემას. დაე, ესეც „კულტურულ ურთიერთობის“ ანგარიშში შევიდეს.

ჩვენს მიერ მიღებული შეკითხვების პირველი სერია შეიცავს:

1. რას ეწოდება თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო?

2. კოლონია არის თუ არა ის ქვეყანა, რომლის მთელი წარმოების და ეკონომიკის გეგმა მუშავდება სხვა (გინდ ძალიან „მოძმე და მეგობრულ“) სახელმწიფოს მიერ? კოლონია არის თუ არა ქვეყანა, რომლის მთელი სახელმწიფო შემოსავალი მიაქვს („მოძმესა და მეგობრულს“). მაგრამ, მაინც უცხო ქვეყანას და რომლის სახელმწიფო ბიუჯეტს ამუშავებს ასევე უცხო ქვეყანა?

3. მაშ დღევანდელი საქართველო ჩაითვლება რუსეთის კოლონიათ თუ არა?

4. „სამშობლოს ხმის“ 7 ნომერში (ივლისი 1964 წ.) გამოქვეყნებულია წერილი: „ჰუმანური მიზნები“, რომელიც ასე სრულდება: „საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საბჭოთა კომიტეტის შექმნა საბჭოთა ხალხის ჰუმანიზმის კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია“.

ა). რას უწოდებთ ჰუმანიზმს?

ბ). იყო თუ არა ჰუმანური 1956 წ. მარტში ქართველი ახალგაზრდობის მშვიდობიან დემონსტრაციის ტყვიამფრქვევებით გამასპინძლება?

გ). იყო თუ არა საბჭოთა რეჟიმის ჰუმანურობის დამამტკიცებელი ის აქტი, რომ მან ბათუმის პედაგოგი ქალები დასაჯა მხოლოდ იმისთვის, რომ მათ მოინდომეს ქართული ენის სიწმინდის დაცვა?

5. თანამედროვე ქართული გამოცემები ისტორიის სახელმძღვანელოები, ისტორიული რომანები დასხ... ამტკიცებენ, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 11 საუკუნიდან იწყება. დიდებულ თამარ მეფის „უბედურ რუსზე“ გათხოვების გამო, ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „იმ დროს ქარ-რთველები რუსეთს კარგად იცნობდნენ და უკვე დიდი ხანი იყო, რაც მასთან ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ“-ო·

ჩვენ გვაინტერესებს ვიცოდეთ:

ა). როგორ გავიგოთ „ცხოველი ურთიერთობა“? რაში გამოიხატა?

ბ). რა გზით და რა საშუალებით დამყარდა 11-საუკუნეში საქართველო-რუსეთს შორის „ცხოველი ურთიერთობა“?

გ). „სამშობლოს ხმა“, ან სხვა თანამედროვე ქართული გამოცემები რა შინაარსითა ხმარობენ „რუსეთს“?

6. არის თუ არა 1783 წ. ტრაქტატი ორ სუვერენულ სახელმწიფოთა შორის,—თანამედროვე ენით, სამხედრო და მეგობრობის ხელშეკრულება, რომლითაც საქართველო თავის ეროვნულ- სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას არა ჰკარგავს? 1801 წლის მანიფესტით საქართველოს სამეფოს მოსპობა იყო თუ არა ამ ტრაქტატის ცალმხრივი დარღვევა და რუსეთის მიერ ჩადენილი ძალმომრეობა, ე· ი. საქართველოს დაპყრობა?

7. იყო თუ არა 1920 წ. 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება ორ სუვერენულ სახელმწიფოთა გამოსახულება?

8. 1921 წ. თებერვალში რუსეთის წითელი არმიის შემოსევა არის თუ არა ამ ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა? ე. ი. 1801 წ. მომხდარი ფაქტის ანალოგიური განმეორება?

9. მთელი მსოფლიოსათვის აშკარაა, და თვით მოსკოვმაც ვეღარ დამალა, რომ „სოციალისტური მეურნეობის პრინციპი დამარცხდა და საბჭოთა კავშირში ამან გამოიწვია საშინელი ეკონომიური კრიზისი. ეს ხომ არ არის „კაპიტალისტების და იმპერიალისტების“ მოგონილი „ჭორი“. ამას თვით საბჭოთა პრესა აღიარებს.

მაგალითისთვის გადახედეთ 17 აგვისტოს, ორი სექტემბრის და სხ. „პრავდა“-ს ნომრებს. მაშ რატომ არასოდეს თქვენი გაზეთი ამას არ შეეხო და მხოლოდ წარმატებებზე ლაპარაკობთ?

10. თქვენს გამოცემაში ხშირად ვკითხულობთ: ბათუმის, თბილისის, ან სხვა ქალაქების ამა და ამ კოლექტივმა კუბას, ვიეტნამს და სხვებს გაუგზავნა ესა თუ ის საქონელი და ნაწარმი. ხალხის ინტერესებზე მზრუნველი მთავრობა უცხოეთში გაგზავნის რამეს, როდესაც თავისი მოქალაქე მოკლებულია ყოველგვარ პირველი მოთხოვნილების საგნებს?

11. „სამშობლოს ხმა“ ხშირად აქვეყნებს სპორტიულ ცნობებს· ქართველი ადამიანის მაღალი ტემპერამენტი, სიცქვიტე, სინარნარე, მოქნილობა და სიმალხაზე მთელ მსოფლიოშია განთქმული. ამაში არავითარი დამსახურება არ მიუძღვის არც ლენინს, არც სტალინს, არც ხრუშჩოვს, და მით უმეტეს, არც ბრეჟნევს ეს სიკეთე შემომქმედმა მიანიჭა ქართველ ხალხს. მათი მსოფლიო ასპარეზზე წარმატება ყველას ერთნაირად გვახარებს. მაგრამ რა გამოვიდა? რამდენმა ქვეყანამ გაიგო, რომ ისინი ქართველები არიან?

მაგალითისათვის აიღეთ უნიჭიერესი გოგონა ნონა გაფრინდაშვილი, რომელმაც ყველა ქვეყანაში ბრწყინვალედ ჩაატარა ჭადრაკის თამაში. რომელი ქართველია, რომ სიამაყით არ აევსება გული? შეადარეთ თქვენს მიერ გამოქვეყნებული იმ ქვეყნების პრესის ამონაჭრები, სადაც ნონამ იმოგზაურა და გვაცნობეთ: რამდენ ალაგას არის ნახსენები, როგორც ქართველი?

ეს ნიშნავს თუ არა, რომ რუსეთი საკუთარი პროპაგანდისათვის იყენებს ქართულ ნიჭს, უნარს, სიმხნევეს და სიქველეს? არის ამაში რაიმე ჩვენთვის ეროვნულად სახარბიელო?

12. არა მარტო „სამშობლოს ხმა“, არამედ ყოველი ქართული გაზეთი, ჟურნალი, თუ წიგნი, ვალდებულია ხაზი გაუსვას, რომ ქართველი მეცნიერების, თუ მთელი საქართველოს ესა თუ ის მიღწევა რუსის „დიდი ხალხის“ და „უფროსი ძმის“ დახმარებით და ხელის შეწყობით მოხდაო.

გვინდა ვიცოდეთ, რას უწოდებთ დიდსა და უფროს? რითა ზომავთ?

განა ჩვენი ოთხიათასი წლის ისტორია, კულტურის ყოველ დარგში შემოქმედების მაღალი ნიმუშები უფლებას აძლევენ რუსებს იყვნენ „უფროსი ძმები“? განა პეტრე ივერის საბანისძეების, მერჩულების, ხანძთელების, პეტრიწების, შავთელის, ჩახრუხაძეს, რუსთაველის და სხვათა სამშობლოს ეკუთნის რუსეთი აღიაროს „უფროს ძმათ“ და მისგან გაკვეთილები მიიღოს?

13. ჩვენ გვაინტერესებს თქვენი გაზეთის ფურცლებზე ვიხილოთ უტყუარი ცნობები საქართველოს შესახებ და არა მოვლენების დემაგოგიური და პროპაგანდული გაშუქება.

„თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობისათვის“, ჩვენი აზრით, ამ საკითხების სწორ გაშუქებას ექნება უდიდესი მნიშვნელობა.

მ. სინდიკელი.

„ქართული აზრი“-ს რედაქტორი.

## ქართველო ამერიკელებო!

საბჭოთა რუსეთის ძალადობის და უსამართლობის წყალობით, ხანგრძლივი უსამშობლოების შემდეგ, ვიპოვეთ ახალი სამშობლო და კერა გავიჩინეთ სამართლიანობის და უფლებრიობის ქვეყანა,—შეერთებულ შტატებში.

აქ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა არა მარტო თავისუფალი ცხოვრების და შრომის, არამედ, უფლება სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში ჩარევის და მასზე გავლენის მოხდენის.

რუსული პოლიტიკის ბუნების, მისი დამპყრობელობითი მისწრაფების განუხრელი ხაზი, მისი მსოფლიოში გაბატონების წყურვილი და ამისათვის ყოველგვარი საშუალების გამოყენება, ქართული წარმოშობის ამერიკელმა, ყოველ დასავლეთელ, და კერძოდ ამერიკელ სპეციალისტზე უკეთ იცის. ამიტომ, ჩვენი ამ ქვეყნის პოლიტიკაში ჩარევა უდიდესი დახმარებაა, როგორც ამერიკისათვის, ისე ჩვენი მშობელი ერისთვის. საჭიროა ჩვენი ხმა ისმოდეს ყველა დაწესებულებაში, ყველა ორგანოში და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ყველგან, სადაც არ უნდა ვცხოვრობდეთ, როგორ იღბლიანათაც არ უნდა მოეწყოს ჩვენი პირადი ცხოვრება, მუდამ მწვავედ განვიცდით ჩვენი სამშობლოს ძნელბედობას და მისი საიმედო მომავლისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

ეს გარემოება სიფრთხილესთან ერთად, მრავალ ვალდებულებებსაც გვაკისრებს. ვალდებულებებს ჩვენი მშობლიური ერის და ახალი სამშობლოს წინაშე.

რამდენათაც დიდია ვალდებულება, იმდენათ დიდია პასუხისმგებლობა და შეერთებული შტატების მოქალაქეობრივი მოვალეობის აღსრულების ჟამს, ქართული წარმოშობის ადამიანი არ უნდა ივიწყებდეს ტყვეობაში მყოფ ძველ სამშობლოსაც და იმის და მიხედვით მოახდინოს არჩევანი და ისეთ მიმართულებას მიემხროს, რომელიც ორივეს, როგორც საქართველოს, ისე ამერიკის სასიცოცხლო ინტერესებს შეეფერება.

საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა ამერიკელ მოქალაქეების ხმები ორ ათეულ მილიონს აღემატება. ამის გონიერად გამოყენება ერთნაირად არგებს, როგორც ტყვეობაში მყოფ ჩვენს ერს, ისე ჩვენ ახალ სამშობლოს. ამიტომ, ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად უნდა შეისწავლოს ის კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემს, თუ მას რამდენად ესმის საბჭოთა რუსეთის მისწრაფებები, მისი შფოთიანი და მლიქვნელ... ლვარე პოლიტიკა, მისი დამპყრობელობითი სული და რამდენათ, ესა თუ ის კანდიდატი ორგანიულად განიცდის საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების განთავისუფლების აუცილებლობას.

მოქალაქეობრივი მოვალეობის აღსრულების დროს, ქართული წარმოშობის ადამიანი სწორედ ამით უნდა ხელმძღვანელობდეს.

**ეროვნული ერთობის უმაღლესი საბჭო.**

## ცნობისათვის.

ეროვნული ერთობის ორგანიზაციის თავმჯდომარე ბ-ნი გ. ზალდასტანიშვილი არის წევრი და აქტიური თანამშრომელი რესპუბლიკანური პარტიის ეროვნებათა კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის.

გოლდვოტერ-მილერის საარჩევნო ცენტრალური კომიტეტის წევრი და აქტიური თანამშრომელია ბ-ნი ა. ჩხენკელი·

როგორც ცნობილია, რესპუბლიკანური პარტიის სან-ფრანცისკოს ყრილობაზე მიღებულ იქმნა დაპყრობილ ერთა განთავისუფლების საკითხი. ჩამოთვლილ ერებში,—საბჭოთა კავშირიდან,—მხოლოდ სასომხეთი და უკრაინა იყო მოხსენებული.

შ. შ. სათვისტომოს თავმჯდომარე დრ. ო. ზალდასტანიშვილმა და ეროვნული ერთობის თავმჯდომარე, ბ-ნ გ. ზალდასტანიშვილმა. ენერგიული პროტესტი განაცხადეს საქართველოს მოუხსენებლობის გამო· მით უმეტეს, რომ ორივე აღნიშნული პარტიის მიმდევარია და ბ-ნი გ. ზალდასტანიშვილი ამ პარტიის ეროვნებათა განყოფილების ცენტრალური კომიტეტის წევრიც არის.

რესპუბლიკანელების საპრეზიდენტო კანდიდატმა,—ბერრი გოლდვოტერმა, საჭიროდ დაინახა პირადათ გაეცა პასუხი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ:

**ბ-ნო გ. ზალდასტანო:**

**როგორც მოგეხსენებათ ოქტომბრის 25-31-დე, ვიწყებთ „თავისუფლების კვირას“. ამიტომ მსურს მოგახსენოთ თქვენ, როგორც ქართველ-ამერიკელების ერობის ლიდერს, რომ მე მთლიანად ვიზიარებ რესპუბლიკანური პარტიის 1964 წ. პლატფორმას, რომელიც შეიცავს დაპყრობილ ერთა განთავისუფლებას.**

**როგორც პრეზიდენტი (პირობითი გამოთქმაა, ე. ი. თუ ამირჩიესო) მე გამოვნახავ შესაძლებლობას, რომ გაერთიანებული ერების წინაშე დადგეს საქართველოს თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის საკითხი· მე ვაღიარებ, რომ ქართველი ერი ბევრად უფრო ადრეა შექმნილი და ჩამოყალიბებული, ვიდრე სხვა ევროპის ერები და გარდაწყვეტილება, რომ ის უნდა იყოს თავისუფალი, ჩემის აზრით, სასიცოცხლო საკითხია თავისუფალი მსოფლიოსათვის ცივი ომის პერიოდში.**

**მე მივიღებ ყოველ მშვიდობიან ღონისძიებას,—ეკონომიურს, დიპლომატიურს, მორალურს, დამარწმუნებელ დაწოლას, რათა დაჩქარდეს ქართველი ერის განთავისუფლება.**

**ჩვენ, რომლებიც ისევე ვიბრძვით თავისუფლებისათვის, ამ ქვეყნის გარეთ, როგორც შიგნით, ერთად უნდა ვიმუშაოთ საერთო მიზნის მისაღწევად. ჩვენ უნდა ეხლავე დავიწყოთ, თავისუფლების კვირის პერიოდში ამის აღსრულება, და ღვთის წყალობით, მომდევნო ნოემბრის არჩევნებში და იქამდე, ვიდრე ყველა ერები კვლავ არ იქნებიან თავისუფლები.**

**ბერრი გოლდვოტერ.**

**ვაშინგტონი.**

ასევე მხნედ და ენერგიულად ასრულებენ, თავის ეროვნულ და მოქალაქეობრივ მოვალეობას ჩვენი თანამემამულეების ის ნაწილი, რომელიც თავისი მრწამსის მიხედვით დემოკრატიულ პარტიასთან მოღვაწეობენ.

საიმედო ნიშანია, რომ ქართული წარმოშობის ამერიკელებმა შეერთებული შტატების ორივე მმართველ პარტიაში გზა გაიკვლიეს და თავის ძველ სამშობლოს ინტერესების სადარაჯოსაც არა სტოვებენ. უსურვებთ წარმატებას და გამარჯვებას.

## მოსკოვის იმპერიის

## აღზევება და დაცემა.

ყოველი ჩვენთაგანი შეეჩვია, რომ ტექნიკის განვითარებამ მოსპო მანძილის მნიშვნელობა. მანძილის შემოკლებამ კი დროს ახალი დანიშნულება მისცა· ავიაციის მიღწევებთან ერთად, დანარჩენი ინდუსტრიის განვითარებამ საშუალება მისცა ადამიანს, რომ უფრო მეტი ნაწარმი შექმნას, ვიდრე ეს წარსულში იყო. ტექნიკამ გააძლიერა სამუშაო ტემპო და გაზარდა შემოქმედებითი ძალა.

## მოსკოვის იმპერიის აღზევება და დაცემა.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე).

ადამიანის ამგვარი ევოლუცია თვით ქვეყნებსაც (სახელმწიფოებს) გადაედო და ჩვენი თაობის თვალწინ მოხდა ერთი უძლიერესი იმპერიის აღზავება და დაცემაც.

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, ეკონომიურად ჩამორჩენილმა რუსეთმა, ლენინის ხელმძღვანელობით, შექმნა იმგვარი ძალა, რომ კაცობრიობა განცვიფრებაში მოიყვანა. მან ახალ პრინციპებზე დააშენა სახელმწიფო მმართველობა, რაც ქვეყნიერების ევოლუციის გარდაუვალ ეტაპად დასახა. ამან რუსის ხალხი იმდენად მოხიბლა, რომ „უკეთესი მომავლის“ მოლოდინში უარყო დღევანდელობა, ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებებისთვის ზრუნვა და მთლიანად მიეძღვნა მომავლის ოცნებას.

დანარჩენი ქვეყნიერება თავშეკავებული შეხვდა რუსეთში წარმოებულ ექსპერიმენტებს და დიდი სიფრთხილით ადევნებდა თვალს იქ წარმოშობილ მოვლენების განვითარებას.

ცხადია, კულტურულ კაცობრიობას ესმოდა ევოლუციის შესაძლებლობა, მაგრამ მას არ სჯეროდა, რომ კომუნიზმი მოახერხებდა ეკონომიური საფუძვლების რადიკალურ გარდაქმნას და აქედან სასურველი შედეგების მიღებას.

ლენინმა კი საკითხი ჩქარა გადაწყვიტა: დარვინის თეორიის მიხედვით ანტროპოლოგიური ევოლუციის თანდათანი განვითარება ეკონომიურ სფეროში გადაიტანა და მისი ძირითადი გარდაქმნა განიზრახა. ამის და მიხედვით, მან კაპიტალისტური მეურნეობის პრინციპის ბუნებრივ ევოლუციად კომუნიზმი და მისი ეკონომიური საფუძვლები დასახა. ამისათვის კი საჭირო იყო ჯერ გაბატონებული პრინციპის დარღვევა, დანგრევა და ახალ საზოგადოების, ახალ საფუძვლებზე აგება. მან დაანგრია ძველი საზოგადოების საფუძველი: ოჯახი,—მისი სულიერ-მორალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობით, დაანგრია ადამიანის ბუნებისა და სულის განმაცისკროვნებელი ძალა—ღმერთი, ღვთაებრიობის რწმენა, რელიგია და დაანგრია ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფის საფუძველი კერძო საკუთრების პრინციპი. ამ საფუძვლების დანგრევასთან ერთად, მან ვერ მოახერხა შეექმნა ახალი, არამედ იგივე რწმენა, ცხოვრების იგივე საფუძვლები და მისი აუცილებლობა მომავლისათვის გადადო. ქრისტიანული მორალი, რაც ადამიანის საუკეთესო გრძნობათა გამომსახველია: დავრდომილის დახმარება, მეგობრისადმი მიძღვნილობა, სიყვარული და ერთგულება, სამშობლოს უზენაესობისათვის თავგანწირვა დასხ. მომავლისათვის წარმოიდგინა და კომუნისტური საზოგადოების ბრძოლის მიზნად დასახა. ასე აუსახა ლენინმა რუსის ხალხს მომავალი კომუნისტური სამოთხის დამყარება და ამ უზარმაზარ სახელმწიფოს კიდეც მიაღებინა, რომ მისთვის ბრძოლაში უნდა აიტანოს ყოველდღიური გაჭირვება: შიმშილი, სიღატაკე, გადასახლება, დახვრეტა და როცა კომუნიზმი მიაღწევს მის მიერვე დანგრეული „სამოთხის“ კვლავ აღდგენას, მაშინ დამყარდება ამ ქვეყნად ბედნიერი, უშიშარი და საამური ცხოვრება.

რეალური აზროვნების სტალინი მალე მიხვდა, რომ მარტო ნგრევით ახალი საზოგადოება არ შეიქმნებოდა და დაუყონებლივ ძლიერი პოლიციური მმართველობა შექმნა. თავის გარშემო ერთგული თანამშრომლები შემოიკრიფა და ცეცხლითა და მახვილით მიაღებინა ხალხს კომუნისტური დოგმა. ამ გზით მან დაამარცხა არა რეალისტ-იდეალისტები და მათი მასიური განადგურებით დაიმკვიდრა კომუნიზმის მშენებლის და ხალხთა მამის სახელი.

პრაქტიკოსი სტალინი ინსტინქტით მიხვდა, რომ საზოგადოთ ადამიანს ამოქმედებს შიში: შიში, რომ თუ არ იშრომა შიმშილით მოკვდება, შიში ოჯახის უზრუნველყოფის და მისი ავტორიტეტის დაცვის; შიში საუკუნო ცხოვრების: ცხონების და წაწყმენდის და შიში უზენაესი ძალის, ღმერთის მიმართ და რადგან კომუნიზმმა ყველა ეს მოსპო, ამიტომ საჭირო იყო მისი შემცვლელი რამ დაეარსებინა და მან შექმნა მრისხანე საიდუმლო პოლიცია, რომლის მოგონებაზე თრთოდა ყოველი საბჭოელი. როცა მან შეატყო, რომ სამხედრო მეთაურები მისი მორჩილებიდან გამოდიან, დაუყონებლივ მუსრი გაავლო მათ და გადარჩენილებში კვლავ შიში გააბატონა. წინაამდეგ შემთხვევაში სამხედრო ორგანიზაცია მოსპობდა სტალინს, რაც იქნებოდა რუსეთში კომუნიზმის მოსპობაც. მაგრამ, ამავე დროს ის იმასაც მიხვდა, რომ საჭირო იყო ზოგიერთი კონცესიების გაცემა. მაგ. უკრაინაში ახალი სამეურნეო პრინციპით გამოწვეული კრიზისის დროს, მან ნაწილობრივი დათმობა გააკეთა და „კარ-მიდამოს“ სახით, კერძო საკუთრებას დაუბრუნდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა რუსეთს უფრო დიდი კრიზისი დაუდგა, ის იძულებული გახდა უფრო მეტ დათმობაზე წასულიყო. მან მოსპო თანასწორობა ჯარში და ძველი იერარხია აღადგინა: ბრძანებებით, სამხარულებით და უფროს-უმცროსობის უაღრესი პატივისცემა-მორჩილებით. სტალინმა აღადგინა სულიერი დაუმარცხებელი ძალის,—ღმერთის წინაშე შიში და რელიგიური მომსახურება, მან აღადგინა სამშობლოს ცნება, ურომლისოთაც აზრი ეკარგება ჯარისკაცის თავგანწირვას ამგვარად სტალინმა ერთი ხელის მოსმით გაანადგურა ლენინის და საზოგადოთ ფანატიკოს კომუნისტების დევიზები: „რელიგია ოპიუმია ხალხის“, „პროლეტარს სამშობლო არა აქვს“ და სხ. და კომუნიზმის დროშის ქვეშ უკვე აღადგინა და გააბატონა კომუნიზმისაგან დანგრეული საზოგადოებრივი საფუძვლები. სტალინი, როგორც პრაქტიკოსი მიხვდა, რომ ამის გარეშე ომის მოგება არ შეეძლო, ხოლო ომის წაგებით ისპობოდა თვით კომუნიზმი. ამ ცვლილებამ მისცა შესაძლებლობა მიეღო დასავლეთიდან, და კეთძოთ ამერიკიდან, სათანადო დახმარება. ამან კი შესაძლებლობა მისცა რუსეთის გავლენის სფერო გაეფართოვებინა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გაბატონებულიყო. მაგრამ მისი პრაქტიკული ალღო მაინც შემცდარი აღმოჩნდა, რადგან ვეღარ გაითვალისწინა, რომ ეს მის მიერ გაცემული კონცესიები ის ნაღმი იყო, რომლის აფეთქება ყოველ წუთს იყო შესაძლებელი და ამ აფეთქებას თან უნდა მოჰყოლოდა კომუნიზმის სამუდამო დასამარებაც.

ამ მდგომარეობის ნათელი გამომჟღავნება სტალინის სიკვდილს მოჰყვა. მის მემკვიდრეთა შორის საჭირო იყო არა მარტო პიროვნების ძებნა, არამედ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ეს პიროვნება მიხვდებოდა პოლიციურ რეჟიმზე დაშენებულ სახელმწიფოს მმართველობის შინაარს და მისი პრაქტიკული მოღვაწეობა, სტალინის მემკვიდრეთ, ამ მხრივაც ივარგებდა.

მემკვიდრის ძებნის პროცესში, ყოველმა სავარაუდო პიროვნებამ თავისებური ანალიზი გაუკეთა მდგომარეობას, ყველა ერთად კი მიხვდა, რომ პოლიციური გზით სახელმწიფოს მართვას ველარ შესძლებდა, რადგან ეს უკვე სტალინის მიერვე იყო დარღვეული და უკუგდებული ომის მოგების ცდის დროს. მოკლე პერიოდიან ანარქიაში სტალინის მემკვიდრეებმა ერთი-მეორე მოსპეს და გაანადგურეს. გამარჯვებული გამოვიდა არა პრაქტიკოსი, არა რეალისტი, არა თეორეტიკოს -იდეალისტი, არამედ თავისი ინტუიციის ამყოლი ხრუშჩოვი. ის თავისი პარტიის იერარქიის ინერციას გაჰყვა და ამან ქვეყნის მეთაურამდე მიიყვანა. ხრუშჩოვი ბუნებითაც რომ ყოფილიყო სტალინისებური სისხლის მოყვარე, მაინც იძულებული იქნებოდა სტალინის მეთოდებზე ხელი აეღო, რადგან მისი საფუძვლები უკვე სტალინის მიერ იყო განადგურებული, ახალის მიცემა და სამაგიეროს შექმნა კი ძნელი აღმოჩნდა კაპიტალიზმის პირის ბრუნების გარეშე.

ამ ჟამად რუსეთში მიმდინარეობს დაჩქარებითი შესწავლა, თუ როგორ შეიძლება კაპიტალისტური მეთოდის გამოყენება. მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიის პროფესორი ვიქტორ ტრაპეზნიკოვი „პრავდას“ 17 აგვისტოს ნომერში აცხადებს: „საბჭოთა ძველი სისტემა, რომელიც შეიცავს წინასწარ გათვალისწინებულ გეგმის შესრულებას, უნდა გაუქმდეს. დადგა დრო, როცა უნდა უარვყოთ დაგეგმილი ნორმების სისტემა და გადავიდეთ შრომის იმ დისციპლინაზე, რომელიც ყველაზე უბრალოა, უფრო ეკონომიური და უფრო ნაყოფიერი“.

„რაც დასაწყისში საბჭოთა ეკონომიის პროგრესად იყო მიღებული, იმან დღეს უკვე დაკარგა თავისი ღირებულება. დღევანდელი სისტემის თანახმად მთელი პროდუქცია მყარ დაგეგმილობას შეიცავს,. რამაც დაცემა გამოიწვია, რადგან ქარხანა იძულებულია გეგმის შესასრულებლად რაოდენობას გადაჰყვეს. საჭიროა იგივე წამალი ვიხმაროთ, რომელმაც უაღრესად იმოქმედა კაპიტალისტურ ქვეყნებზე“-ო.

მოსკოვის ავტომანქანების ტექნიკური დირექტორი, ვოლკოვი, დაუყონებლივ ჩაერია ბჭობაში და იმავე გაზეთის ფურცლებზე განაცხადა: „წარმოების ასაწევად საჭიროა არა მარტო ხარჯების დაფარვა, არამედ უნდა უზრუნველვყოთ მოგებაცო“. შემდეგ ვოლკოვი აცხადებს: „ყველა ვხედავთ ეკონომიის დაცემას, მის მიზეზებს და არაფერი არა კეთდება, ან ძალიან ცოტა კეთდება, რათა შევაჩეროთ დაცემა და ავამაღლოთ წარმოება“-ო.

შემდეგ ვოლკოვს პრაქტიკული მაგალითები მოჰყავს წარმოების დონის დაცემის, რომელთაგან აღსანიშნავია, რომ მუშების დაუინტერესებლობის გამო დაიკარგა ათეული მილიონი მანეთი, რომელიც გადადებული იყო ახალი ტიპის ავტომანქანის გამოსამუშავებლად. „ერთნაირად დაუინტერესებელია, როგორც უბრალო მუშა, ისე პროფესიონალი, ინჟინერი თუ მგეგმავიო“... „ცხადია, ჩვენ არ გვინდა გადმოვიღოთ კაპიტალისტური სისტემის არც ერთი გაუმართლებელი, ნაკლულოვანი თვისება, მაგრამ არ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა მივიღოთ მისი საუკეთესო და უკვე გამართლებული: მოგება ქარხანას და მოგება მუშას“-ო

როგორცა ვხედავთ ვოლკოვი ორმაგ მოგებას ახსენებს „ქარხნის“ და „მუშის“. ეს არავითარ ეჭვს არა სტოვებს, რომ საქმე გვაქვს არა „თანასწორობასთან“, არამედ ორმაგ ძალასთან: ქარხანა და მისი ინტერესები და მუშა და მისი ინტერესები. მაშასადამე, დამქირავებელი და დაქირავებული. მათი ინტერესების სამართლიანი დაცვა და გმოყენება, რაც საფუძვლად დაედო თანამედროვე ჯანსაღ ეკონომიას. „ქარხანა“ საკუთარი ინტერესების, ე. ი. მოგების გარეშე დამბლა დაცემულია, მუშა, საკუთარი გამორჩენის უინტერესოდ თავის მოვალეობას არ ასრულებს.

ეს ნათლად ამჟღავნებს „ახალი ლენინურ-სტალინური“ საზოგადოების ნგრევის დასრულებას და კომუნიზმის მიერ დანგრეული საზოგადოებრივი პრინციპების კვლავ აღიარებას. ეს პროცესი უფრო ნათლად სჩანს უცხოეთიდან და თავისუფალი მოაზროვნის ობიექტიური ანალიზი ამ დასკვნებს ვერ ასცდება.

## „ვეზნაჩალნიკი“

(მოთხრობა)

გვადი გოგოშიას ოჯახი ცნობილი იყო მთელს მაზრაში, როგორც უსაქმური, ზარმაცი და დაღლარა. გვადი გოგოშია უთენია რომ გავიდოდა სახლიდან, საღამოს თუ მოაგონდებოდა შინ მოსვლა. ოჯახს მისი სახლობა ალათი უვლიდა საცოდავი. თორმეტი ბავშვი გოჭივით რომ დაჰყარა, პატრონობა ეჭირვებოდა თუ არა! მათთვის ცალკე ლოგინი სად იყო; ერთი ვეებერთელა ნალი ჰქონდა ხამისაგან შეკერილი და ნავახშმევს, როცა ლობიოთი ისე გაიბერებოდნენ, რომ ადგილიდან ვერ იძროდნენ, მაშინ ალათი ნალს გაშლიდა და თორმეტივე ზედ დაეყრებოდა. სახურავად ყველაფერი იყო გამოყენებული, ძველი ღართი თუ დაკონკილი ჯვალოს ტომარა. ზაფხულში იოლად გადიოდა გვადი გოგოშიას ოჯახი, მაგრამ ზამთარი სანატრელი არ იყო. სუსხიანი, წვიმიანი დღე, ღამით სიცივე კუნთებში გასტანდა ხოლმე. ნაშუაღამევს, კერაში ცეცხლი რომ ჩაჰქრებოდა, ძილი არ შეიძლებოდა. სიცივე სახსრებში დაივლიდა, თებერვლის ბორიო ფარღალალა ჭერიდან ჩამოგრიალდებოდა და ბოლოს დაჭრილი ნადირივით აღრიალდებოდა, რომ მისგან თავდაცვა არც იოლი იყო. საცოდავათ მოიკრუნჩხებოდნენ სიცივისაგან პატარები და შიშით გულგახეთქილი ერთმანეთს ეკვროდნენ.

—კაცო სად მიდიხარ ამ უთენიას, ქალი ვარ მარტვანეი, მომხედე, ერთი ღერი შეშა არ მეიძებნება ჩემს ბარობაზე, ამ ტიტლიკანა ბავშვებს რა უხერხო!

სთქვა ალათიმ და სიბრაზისაგან ერთად ერთი დოქი ხელიდან გაუვარდა და იქვე დაიფშვნა. დოქი ძველი იყო. ათადან-ბაბადან მოდიოდა იგი. ალათი, რითაც კი შეიძლებოდა უვლიდა მას, მაგრამ დოქმა სული განუტევა. ამან ერთი აღიაქოთი გამოიწვია. მკვდარივით შეიცხადა იგი ალათიმ და გვადი გოგოშია ლაზათიანად მილანძღა: სად მიხვალ შე არ დასაცალებელო, ორმოცდაათ წელს რომ კაცი გადააცილებს ორმაგი ჭკუა მოეთხოვება... დამჯდარი უნდა იყო, შენ კი არაფერი გეშველა! სთქვა გამწარებულმა ქალმა და დოქის ნამსხვრევების კრეფას შეუდგა. აკრიფა და იქვე კუთხეში მიჰყარა, ვერ იმეტებდა საყვარელი დოქის გადანაშთის გაჰქრობას. ტიტლიკანები კი, უმალ მივარდნენ გასაქქავად, მაგრამ ალათიმ მაგრათ შეუტია აბეზართ.

—თქვენმა თავის გახეთქამ საკენკი თუ გგონიათ! სთქვა ალათიმ და ბავშვები მისწიმოსწია. გვადის ერთად ერთი ბიჭი ჩოკო დიდი იყო და ოყლაყი. კარდალში აღმართული ჩოგანივით ჩამდგარიყო ბავშვებში და დოქის ნამსხვრევებს არ ეშვებოდა. რას ეძებდა ნეტავ გუდამშიერის ნაშიერი არც თვითონ იცოდა, რო ეკითხათ. გვადი რომ ეზოდან გავიდა, ალათიმ ლაზათიანად მიაწყევლა ქმარი: აქეთ არ მოუყვანიხარ ცოცხალი წმინდა გიორგის ძალას და მადლს!

ალათი ისევ ტიტლიკანებს დაერია კუთხეში რომ იქექებოდნენ. ბავშვები ძირასაგან დამფრთხალი წიწილებივით გაიფანტ-გამოიფანტნენ, მაგრამ ჩოკო ხელთ მოიგდო ალათიმ და მაგრათაც მოიგდო ბაყვებში, ეძგერა და დაჰლორტნა ქორივით. ქოჩორში წაავლო ხელი და მაგრად შეანჯღრია. ჩოკო საშინელი ბავში იყო და აუტანელი. ხელულობაც დასჩემდა და საცოდავ დედაკაცს, მეზობლებისაგან მოსვენება არ ჰქონდა.

„საბუდარიდან კვერცხები მოიპარა“.

„ხულაში შესულიყო და ქოთნით რძე დაელია“.

„ჭყინტი სიმინდები დამიტეხა“.

„ნესვებს ყელი დააჭრა დაკიტრები გამინადგურა“.

„ყველი მომპარა“.

„ბავშვებს ანკესები წაართვა და თვითონ თევზაობდა“

საყვედური ულევი იყო და ალათიც მოითენთა მისგან. როდის გადაშენდები ნეტავ ჩემი ურგებო! მიახალა სიტყვა ჩოკოს ალათიმ და მუჯლუგუნი უთავაზა.

***

ეხლა ჩოკომ დრო იხელთა, დედას ხელიდან გაუსხლტა და გარედ გავარდა. გავარდა და ქუჩაში გაჭრილმა ქვის კენჭებს დაავლო ხელი, მოაქუჩა. სახლის მოშორებით ერთი გაუქმებული აგურხანა იყო, ვიღაც ბერძენი ანაკლიიდან ამოსული აგურებს სწვავდა, მერმე გაკოტრდა და მიატოვა იქაურობა. სწორედ ეს აგურხანა ამოირჩია ჩიკომ ციხე-სიმაგრედ... შიგ ჩაჯდა მხედარივით და ნიშანში ამოიღო სახლი და ქვები დაუშინა. მისი გრიალი შარაგზას სწვდებოდა, დამპალი ყავრები ვერ უძლებდნენ ქვის სიმძიმეს და რახარუხით მისცვივოდნენ ჭერიდან. ერთი ქვა ისეთნაირად გაისროლა სახლისაკენ, რომ შიგ ღომის ქვაბში ჩავარდა. შეინძრა საცოდავი კარდალი. ჩოგანი გადაიზნიქა, გვერდზე გაწვა, ქვაბიდან წვენებმა „ვაი დედა“ აძახებიეს კერასთან დაყრილ ტიტლიკანებს.

—ამის გაჩერება აქანე არ იქნება!

სთქვა დედა მისმა და ჩოკოს ბედიც გადაწყდა. ალათიმ ქუთაისს მიაბარა ვიღაც მჭედელს ჯაჭვის ხიდზე.

—მჭედლობა მისწავლებიე შენ დაგენაცვლე და ხელში მაგრად მეიგდე, გიჟია და დაღლარა! ასეთი დახასიათება მისცა თავის შვილს. მჭედელმა მაინც დაიტოვა. ჭედვას თუ ვერ ისწავლის, საბერველის ბერვაში მაინც დამეხმარებაო, სთქვა მჭედელმა და ჩიკო სამჭედლოში დაიტოვა.

***

ორი თვე არ იყო გასული ამ დღიდან და ერთ საღამოს, მობინდებისას, ჩოკო შინ გაჩნდა. ტიტლიკანები უმალ გარს შემოეხვივნენ. დედამისმა მისი დაბრუნების მიზეზი ჰკითხა.

—რავა კურსები გაათავე თუ რა?

—კურსები კი არა შავი ჭირი მაგას! სთქვა ჩოკომ.

—რავა?

—რავა და ურგები კაცი გამოდგა!

—ურგები და დაღლარა შენ ხარ!

—მაგრად მივბეგვე და წამოველი!

—ახლა აქანე გინდა დამიჯდე უსაქმური მამაშენივით? გაწყდა თქვენი ჯილაგი!

სთქვა ალათიმ.

***

შვიდი დღე დარჩა ჩოკო სახლში და შვიდჯერვე მან აუფორიაქა სული მეზობლებს.

„გვეგონა მევისვენეთ, მარა, მაინც არ დაგვადგა საშველი“, ამბობდნენ მეზობლები და სწყევლიდნენ ჩოკოს გაჩენის საათს.

„ხატზეა გადასაცემი, გასაბაწრავია!“

ეუბნებოდნენ მეზობლები ნაპრისტავალ მესხიძეს და სთხოვდნენ რითიმე დახმარებოდნენ ჩოკოს თავიდან მოსაშორებლად. ეს დღეც დადგა. ჩოკო მოშორდა მადაურობას. ფოთის

საბჭოთა ხელისუფლება ნახევარი საუკუნის განმავლობაში „ახალის ძიების“ შემდეგ მიხვდა მარქს-ლენინის ფანტაზიების განუხორციელებლობას და ძველზე გადასვლის პერიოდშია. მაგრამ ამ ძიებაში ჯერ კიდევ არა სჩანს, თუ საბჭოთა ეკონომისტები როგორ გადაიყვანენ ეკონომიას კაპიტალისტურ სისტემაზე, თუ მათ არ აღადგინეს თავისუფალი ინიციატივა, თავისუფალი ბაზარი, კერძო საკუთრება, ე. ი. თუ სრულიად არ მოსპეს კოლექტიური მეურნეობის პრინციპი.

ეკონომიური საფუძვლების დარღვევას თან აჰყვა დღეს მთელ მსოფლიოში ფრთებ შესხმული ეროვნული თავისუფლების და დამოუკიდებლობის იდეა. ერთ დროს მთლიანი, განუყოფელი, მოსკოვის მორჩილი კომუნისტური პარტიები და ქვეყნები, მოსკოვის მორჩილებიდან გამოდიან და დამოუკიდებელი მოქმედების გზას ადგებიან. ჩინეთი აშკარად იბრძვის მოსკოვის ჰეგემონიის წინააღმდეგ და კომუნისტური პარტიების და ქვეყნების თანასწორობას მოითხოვს. ალბანია და რუმინია უკვე სამუდამოთ გამოვიდნენ მოსკოვის მორჩილებიდან და ბუხარესტმა მოსკოვს პარიზი და ვაშინგტონი ამჯობინა. აღსანიშნავია, რომ თავისუფალი დასავლეთის ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი იტალიის კომუნისტური პარტიაც „დამოუკიდებლობის“ გზას დაადგა და ყველა დიდი თუ პატარა, მრავალრიცხოვან, თუ მცირერიცხოვან კომუნისტური პარტიების და ქვეყნების თანასწორობას მოითხოვს. ამავე მოძრაობას ვხედავთ აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამგვარივე მისწრაფება არ არსებობს თვით საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და ადრე თუ გვიან ის შიგნითაც უნდა მოედოს და გამოვლინდეს. მოსკოვი იძულებულია ამ დენას მიჰყვეს და „უფროს ძმურ მზრუნველობაზე“ ხელი აიღოს.

ამგვარად ჩვენი თაობა მოწმე გახდა კომუნისტური საზოგადოების წარმოშობის, მისი იმპერიის აღზევების და მისი დარღვევისაც.

ამ ნგრევის საფუძველი ის ისტორიული გარდაუვალობა არის, რომელიც კომუნიზმის ლიდერებმა ვერ გაითვალისწინეს. უპირველესად, რომ ცხოვრება თავისი გარკვეული თანმიმდევრობით ვითარდება და მას ადამიანების გუნებგანწყობილება ვერ შესცვლის, მეორე, რომ მათ უარყვეს ძველი საზოგადოებრივი საფუძვლები და რადგან ახალი ვერ შექმნეს, ამიტომ ის მომავალ ბრძოლის საგნად დასახეს და მესამე, რომ სტალინის შემდეგ მისი მემკვიდრეები ცხოვრებამ აიძულა უარეყოთ პოლიციური რეჟიმი და სამაგიერო ვერ შექმნეს. ამნაირად იდეოლოგიურ საფუძველ მოკლებული სახელმწიფო, ცხადია, უნდა დარღვეულიყო და კიდეც ირღვევა.

ამ ხნის განმავლობაში თავისუფალ-დემოკრატიულმა ქვეყნებმა, რომლებმაც ძველი საზოგადოებრივი საფუძვლების დარღვევის ნაცვლად მისი თანდათანი ევოლუცია განიცადეს, შექმნეს უდიდესი სულიერ-მატერიალური დოვლათი და საკაცობრიო სანიმუშო პროგრესი.

გ. ზალდასტანიშვილი.

## სკანდინავიის სოციალიზმის მაგალითი.

ახლა ხრუშჩოვი 70 წელსაა გადაცილებული. ამ ხნის განმავლობაში, მან ბევრი იმოგზაურა, როგორც საკუთარ საბჭოთა კავშირის ვრცელ იმპერიაში, ისე უცხოეთში. ფეხდაფეხ შემოიარა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნები, აგრეთვე ,ინახულა იუგოსლავიის სოციალიზმიც. უნახავი არ დასტოვა არც მაოცე დუნის კომუნისტური ჩინეთი, (ხოლო პირვანდელი მომეტებული „მეგობრობა-დრუჟბა“, შემდეგ გაშმაგებულ „მძულვარება-ზლობად“ გადაექცა). მოწყურებული გაეშურა თვით კაპიტალისტური სამყაროს დასათვალიერებლად, ნახა ჩრდილოეთ ამერიკა, ინგლისი და საფრანგეთი, უაღრესად ბურჟუაზიული სახელმწიფოები, სიმდიდრით და კეთილდღეობით დამტკბარი. ნერუს ინდოეთსაც თვალი გადაავლო და ისიც თავისკენ მიითვალა, როგორც ნეიტრალური სახელმიწფო. იმგზავრა ძველი ფარაონების ეგვიპტეშიც, გაინავარდა ნილოსის ნაპირებზე. მოიხილა პირამიდების და სარკოფაგების დიად აღნაგობანი, თითქმის ნასერთან შეხვედრით „უწყვეტი მეგობრობა“ დაამყარა არაბთა მსოფლოსთან, თუ აქაც საბოლოოდ მოტყუებული არ დარჩა. სულ უკანასკნელად ინახულა სკანდინავიის ქვეყნები, და ზვერა მათი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის წარმატებანი და შესაძლებლობანი. განახლა შეკვეთები ერბო-კარაქზე და სამგზავრო გემებზე და რაც მთავარია, მორიდებულად, გემო გაუსინჯა იქაურ სოციალიზმსაც.

ერთი სიტყვით, მაშინ, როდესაც სტალინი კრემლის ზღუდეებს იშვიათად შორდებოდა, თუ ეს აუცილებელი არ იყო, თეირანის და ბერლინის კონფერენციებს დაესწრო, მათი ოკუპაციის შემდეგ. მას უფრო ეხერხებოდა კულისებში და კრემლის ჯურღმულებში მუშაობა, ვიდრე საჯარო გამოსვლები და შეხვედრები, პირიქით, ხრუშჩოვი, კომუნიზმის პროპაგანდის დიდი კომივიაჟერი გახდა და დაუფარავი ხალისით იღებს ყოველგვარ მიწვევას და საერთაშორისო არენაზე თავის გამოჩენას. ამ ათი წლის განმავლობაში იმდენი იმოგზაურა სხვა და სხვა ქვეყნებში იმდენ ხანს დარჩა და იმდენი სიტყვა წარმოსთქვა, რომ ბევრს სათვალავიც კი დაეკარგა.

მიუხედავათ, აშკარა სიცხადისა, ის მაინც ვერ დარწმუნდა კაპიტალისტურ სისტემის უპირატესობაში, რადგანაც, რაც უნდა იყვეს ეს მაინც კაპიტალიზმის სამყაროა და მისთვის თვალის მოსატყუებელი სანახაობაა, მოჩვენება და არა სინამდვილე. თუ მუშები და მთლიანად ყოველი სოციალური ფენა უკეთესად ცხოვრობს, სიმდიდრით და ყოველგვარი კეთილდღეობით აღვსილი, თუმცა ჯერ კიდევ სიზუსტით არ არის მიღწეული ეროვნულ დოვლათის თანაბარი განაწილება, მაგრამ ტენდენცია უთუოდ აქეთ მიემართება, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში პირუკმო მოვლენებს აქვს ადგილი. კომუნიზმის ზღრუბლთან მისული საბჭოთა ხალხები, კვლავ სიღარიბესა და ეკონომიურ უთანასწორობის გარემოცვაშია ჩაყენებული. მართალია ისიც, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშებს საკუთარი სახლი და ავტომობილიც კი მოეპოვებათ, მაგრამ ხრუშჩოვი მათ მაინც პროლეტარებათ სთვლის და ცდას არ აკლებს „კაპიტალისტური მონობის მძიმე უღელი“ მოხსნას და სამაგიეროთ, მათ საკუთარი, უფრო მძიმე უღელი დაადგას და ყველანი ერთბაშად სიღარიბეში გაათანასწოროს, ისე, როგორც ეს დიდი ხნიდან არის დამყარებული თვით საბჭოთა კავშირში.

ხოლო იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირისათვის, მისი გაზიფიკაციისათვის, საჭიროა ფოლადის მილები და ფაფის გასაკეთებლად საჭიროა ერბო-კარაქი, რის ნაკლებლობას მწვავედ განიცდის მოსახლეობა, ხრუშჩოვმა მოინახულა სკანდინავიის სახელმწიფოები. მან გულმოდგინეთ დაათვალიერა შვეციის სამრეწველო და დანიის სოფლის მეურნეობის რაიონები, უფრო დიდი ინტერესით გასინჯა ნორვეგიის საზღვაოსნო პუნქტები და მისი სავაჭრო გემები, ალბათ შეკვეთის მიზნით. როცა ნახულის შურით, ან ცოტა უხერხულობის გრძნობით ის ხშირად მიმართავს ირონიულ ბუდატებს (ვითომ მოსწრებულ სიტყვებს), დამცინავ კილოს, ან დუმილს, ბუტიაობას არჩევს და გამოუვალ მდგომარეობიდან ასე თუ ისე თავს იოლად აღწევს. ცხადია, ხრუშჩოვი სკანდინავიაში, ამ სოციალისტურ ქვეყნებში, ისეთ კადნიერებას ვერ იჩენს, როგორც სხვაგან: კაპიტალისტურ ქვეყნებში და სივიწროვეს განიცდის, რადგან ამ ჯერად, დემოკრატიულ სოციალიზმს, ნამდვილ სოციალიზმს, რომელსაც სოციალიზმის მშენებლობაში უფრო მეტი მიღწევები აქვს, ვიდრე მის საკუთარ საბჭოთა კავშირს. სოციალიზმი, რომელიც არ წარმოშობილა სისხლის გარეშე, რომელიც არ არის დაყრდნობილი შიშზე და ტერორზე, რომლის მშვიდობიანი და თანდათანი გამარჯვება შრომის ფრონტზეა შემოწმებული და არა სტატისტიკურ ბიუროებში შეთხზული ეკონომიური წარმატების ასტრონომიული ციფრებით.

ისე თვალნათლივ საჩინოა კაპიტალისტური მეურნეობის სისტემის უპირატესობა, სოციალისტური პარტიების დემოკრატიულ საფუძველზე დაყრდნობილი, დიდი სოციალური რეფორმებით განმტკიცებული, მუშათა კლასის და სხვა სოციალურ ფენების საერთო მატერიალური და მორალური კეთილდღეობა გაცილებით წინ არის გასწრობილი, უკან იტოვებს თვით კომუნისტურ ქვეყნებს და ყველასათვის მისაბაძი და სამაგალითო ხდება. ეს იყო დამაბრკოლებელი გარემოება, რომ ხრუშჩოვმა, თავის ჩვეულებისამებრ ვერ გაბედა ქება საკუთარ კომუნისტურ სისტემისა და მეტად მორიდებული იყო. შეიძლება ითქვას, რომ ჩლუნგიც და ნაკლებ ირონიული მისი ანათემა კაპიტალიზმის მიმართ. ამას თან ერთოდა, რომ მის წინ იდგნენ ავთენტიური, უტყუარი სოციალისტები, თავიანთი მრავალნაირი საქმიანობით, გამოცდილებით, ხალხის უმრავლესობის ნდობით აღჭურვილნი და მათ კეთილდღეობაზე მუდამ მზრუნავი, ნამდვილი ქმედობით და არა ლაყბობით, სიცრუით და მოტყუილებით გაბრუებულნი. მათი ნება-სურვილის, ინტერესების გამომხატველნი, არა დიქტატურით, არამედ დემოკრატიული სოციალიზმის იდეებით შთაგონებულნი. სრულებით არ საჭიროებენ ვინმე მოწამლონ, ან ოპოზიციისათვის პირი აუკრან და დაადუმონ. არც პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ნადგურდება ფიზიკურედ, არც პიროვნების კულტის განდიდება სჭირიათ, იმისთვის, რომ ხელისუფლების სათავეში დარჩნენ, არც ზევიდან ჩაწყობილ კომბინაციებით ხდებიან სოციალისტური მოძრაობის და სახელმწიფო მეთაურნი. მათი ამდენი ხნის ხელმძღვანელობა გამართლებულია მხოლოდ ქვეყნის კეთილსინდისიერი გამგებლობით და საყოველთაო სულიერ-კულტურულ და მატერიალურ კეთილდღეობის განვითარებით და წინსვლით.

ან რა საჭიროა ამდენი ფანდები, მიკიბ-მოკიბვა, ან ღვარჭნილად თქმა, ყველასათვის ცხადია: სკანდინავიის ქვეყნები არ არის ბუნებრივ სიმდიდრით უფრო დაჯილდოვებული ვიდრე საბჭოთა რუსეთია, ის ვერ დაიჩემებს იმდენ მატერიალურ დოვლათს, როგორც ეს მოეპოვება ჩრდილოეთ ამერიკას, შიგნით, საკუთარ ტერიტორიაზე, ისე გარედან, ახლობელ და შორეულ სახელმწიფოებიდან მოხვეჭილი დაულეველი ნედლი მასალა, მყარი კაპიტალით და საწარმოო ძალების სიუხვით.

სკანდინავიის ხალხები არავისგან დავალებულნი არ არიან. ისინი ეყრდნობიან საკუთარ თავს, საკუთარ შრომას; მუნიციპალიტეტებს, სახელმწიფო დაწესებულების სწორ და გონივრულ მმართველობას, ეროვნული მეურნეობის საღ ორგანიზაციას, რომლის შეზავებული საქმიანობით სოციალურ ფენებს შორის მუდმივი შეთანხმებული ჰარმონია სუფევს. მათი თავისუფალი შრომა, ყოველგვარი იძულების გარეშე, კერძო კაპიტალის ინიციატივა უზრუნველყოფილია. მთავრობის შეზ-

---

ნავთსადგურში ამოჰყო თავი. ერთხანს ტვირთს ეზიდებოდა, მაგრამ ნათქვამია: დაჩვეულს ნუ დააკლებო და დაუჩვეველს ნუ დააჩვევო“ იმისი არ იყოს, ჩოკომ თავისი ხელობა აქაც მოშინჯა და მართლაც კარგად მოშინჯა. ერთ ღამეს, ფოთის ნავთსადგურში ყველაფერი რომ მიწყნარდა და ჰალარაშერთულ გუშაგს, რომელიც თვით საგუშაგო იყო, ჩაეძინა; მაშინ ჩოკომ ძმა-ბიჭებთან ერთად დრო იხელთა და საწყობი მორგებული გასაღებით გააღო. გასაღების გაკეთების ნიჭი თავიდან დაჰყვა ჩოკოს. ჯერ კიდევ იმ დღიდან, როცა ქვების დაშენით ვარჯიშობდა. ჩვეულებრივი გასაღები იმდენად ხეხა, ისე ლამაზად მოქლიბა, რომ დედამისის ზანდუკს მოხერხებულად აღებდა და შიგ შემონახული ტკბილი კვერით გული მოიმწვანილა. ქურდობა და გასაღების კეთება ხელობად გაიხადა. პირველი ცდა ფოთის ნავთსადგურში სცადეს. იმ ღამეს გაზიდეს რაც შეიძლებოდა. ნაქურდალი გაიტანეს, რიონს მიენდვნენ და ორპირს გავიდნენ, აქედან ქუთაისს ესტუმრნენ. ჯაჭვის ხიდს არ გაჰკარებია.., მჭედელი დამუქრებოდა თურმე: „თუ ხელში ჩამივარდა, მოუპირავი არ გადამირჩებაო“. ეს იცოდა ჩოკომ და ბინა ბალახვანში დაიდვა ვიღაც უპატრონო ქვრივ დედაკაცთან. ძმა-ბიჭები ნაქურდალით ყაფანზე გაჩნდნენ და ორი თუ სამი დღის განმავლობაში ყველაფერი მიასაღ-მოასაღეს. ჩოკო გოგოშია ქუთაისს დარჩა. სხვები კი, წავიდ-წამოვიდნენ. ჩოკომ ტანზე კოხტად ჩაიცვა. განიერი სახელოებიანი ხალათი კაკებით მორთული სახელგანთქმულ პილა თერძს შეაკერია. ფოთში შესწავლილი ხელობა სარფიანი გამოდგა და ჩოკომ უფრო განავითარა ის. ერთს შოალამეს, ორპირის ქუჩაზე ქუთაისის სასურსათო მომარაგების საწყობს მიაკითხა. წინასწარ მოშინჯა ნიადაგი. ღამის გუშაგი გაიხადა მონაწილედ. იმ ღამეს გვარიანად მოიგდო ჩოკომ ნადავლი. გაუვიდოდა და გადიოდა კიდეც რაცა სურდა. ქუთაისს გაჩვეული ჩოკო გოგოშია ქუთაისის მაღალ წრეს დუახლოვდა. კარგად ჩაცმული და ენაწყლიანი მოლაპარაკე შესამჩნევი გახდა.

—თქვენი ცეკვით მოაჯადოვეთ ჩვენი ქალები! სთქვა ალაძემ. დავით ალაძე ქუთაისის მომარაგების სამმართველოს მთავარი ბუჰლალტერი იყო. ამის შემდეგ გაიბა კავშირი მათ შორის. ალაძეს ჰკუაში დაუჯდა ჩოკოს წინადადება და თადარიგს შეუდგა. საქმეში სტამბის მეპატრონეც ჩააბეს. საგრძნობი თანხა გამოიტანეს მაშინ ბანკიდან.

**

ეხლა ცოტა ხნით სოფელს მიაშურა ჩოკომ. ათი წელიწადი სახლში არ ყოფილა. არც არავის მოუკითხავს იგი და არც მას უკითხავს არავინ. ყველას შესაფერი საჩუქარი გაუწყო, მაგრამ თერთმეტიდან ბევრი არ დახვედრია ჩოკოს. ესპანური ავადმყოფობა დარეოდათ და საგრძნობად მოეთიბა წყეულს, მაგრამ ვინც გადარჩა იმას კი გული გაუთბო. ვაი იმას, ვინც სამუდამოდ წავა, სამარეში მოკალათდება, თორემ ცოცხლად დარჩენილს ყოველთვის გამოუჩნდება სახსარი. მშობლები სიხარულით ცას ეწივნენ, როცა ჩასპანტად გამოწყობილი ვაჟკაცი, ათი წლის უნახავი სვეტივით აღიმართა მათ წინ.

ყალყზე შემდგარ ცხენით შემოიჭრა ჩოკო გოგოშია და სანამ ცხენიდან ჩამოხტებოდა, წრე შემოხაზა ეზოში; შემდეგ „ჰაიტ მარჯაო“ შესძახა და ეზოში გააჯირითა მერანი. გვადი გოგოშიამ პირველად ვერ შეიცნო სტუმრად მოსული. მთავრობის კაცი ეგონა. ალბად გზის ბეგარაზე თუ გავყავართო, ანდა ომიავინცხასთან და სამრად გვიხმობენო. ალათი საფარგასწორებით მიეგება უცხოს. მთელი სიგრძესიგანით მის წინ ჩოკო გოგოშია იდგა, მაგრამ უცნობი.

—ვერ მიცანით თუ რა ენა ჩაგვარდნიათ? სთქვა ჩოკომ და დედისაკენ გასწია ხელმოსახვევად.

—ვერ გიცანით, მანცხვარს (მანცხვარი მეგ. ნიშნავს მაცხოვარს) გეფიცებით! სთქვა ალათიმ.

—შენი შვილი ვარ ჩოკორია!

—დედა, ჩოკორია, შენ დაგენაცვლოს დედაშენი! შესძახა ალათიმ და მოწიფული ბიჭი გულში ჩაიკრა. გვადი, რომელიც რაღაც ბედზე დღეს სახლში დარჩენილიყო, სიხარულით ცას ეწია ჩაცმული ვაჟის დანახვაზე. მანაც გულში ჩაიკრა ჩოკო და გაფაციცებით თვალს არ აშორებდა უნაგირთან მიკრულ აბგას. ჩაჩხრული გვადის სახეზე იმედის სხივი ელვარებდა აყირმიზებული.

—შენ დაგენაცვლოს შენი დედა, ასე უნდა შვილო დავიწყება? სთქვა ალათიმ და ის კი მიივიწყა, დღეღამე წმინდა გიორგის რომ აწუხებდა. სახლში შევიდნენ. დაზრდილი ტიტლიკანები გარს შემოეხვივნენ. ჩოკომ აბგა-ხურჯინს თავი ახსნა და სათითაოდ ჩამოურიგა ყველას საჩუქარი. გვადის ცინდილის საახალოხე ჩამოუტანა და საჩოხედ ონის შალი. დედა ფარჩაჩითით გაახარა. დაზრდილი ტიტლიკანები კი, სიხარულის გამო ჭინკებივით როკავდნენ.

—დეილოცა შენი დიდება წმინდა გიორგი ძლიერო! სთქვა ალათიმ და ხატის წინ მუხლი მოიყარა. ჩემს მეზობლებს დეეფსოს თვალები, გიჟიაო იძახოდნენ!

—გიჟიაო? ვინ მოაჭორა მაგი! დაიძახა გვადი გოგოშიამ და სადანეს ხელი მოკიდა, თითქოს დუშმანი ვინმე მდგარიყოს მის წინ.

გაიხარა ოჯახმა. ჩოკოს მოსვლამ გაახარათ თუ მოტანილის არ არის თავსატეხი.

ეხლა კი დაფაცურდა დიდი და პატარა. დეზებიან ჯიჯლიბო მამალს, ჯარიდან გადამდგარ ულაშქრო გენერალივით რო დაიჭიმებოდა დედლებში, თავი წააცალეს და კარდალში ლივლივებდა მთელი ტანით. ქათამს მორჩნენ და ღომს შეუდგნენ. გვადიმ მუგუზალს უმატა კერაში. ხაჭაპურებისათვის კეცები აღმართეს. მურიამ ერთხანს არ იგუა უცხოდ მოსული... ქოფაკი გაშმაგდა, დაიწყო ღრინვა.

—იყუჩეო შე მუდრეგო! მიაძახა გვადიმ და კუდამოძუებული მურია კუთხეში მიეგდო... დროგამოშვებით დაიღრინებოდა ხოლმე და ბოლოს გაჩუმდა, ჩოკო შინაურად მიიჩნია. ვახშამს რო მორჩნენ, გულნადები საუბარი გაიმართა.

—რა საქმეში ჩადექი შვილო, გვითხარი, გაგვახარე! თავს ევლება დედა.

—ფეხზე ვეწევი ვაჭრობას ხალხის დასანახავად!

—რავა? ვერ გაიგეს ნათქვამი.

—დიდი საქმე დატრიალდება მალე!

—რა შვილო?

მამალივით წაიგრძელა გვადიმ ყელი. გვადი გოგოშია ჩია კაცი იყო და დაბარძლოლი. ზე აღიმართა, თითქოს ზე აღმართული უფრო სწვდებოდა საიდუმლოებას.

—რავა დუქანი ხომ არ გაგიღია ქუთეისს!

—არა!

—აბა?

—მთავრობა უნდა ჩამოვაგდოთ! თვითონ არ

## სკანდინავიის სოციალიზმის მაგალითი.

(დასაწყისი იხ. მესამე გვ.)

ლუდვის და ჩარევის ხელყოფისაგან. ასევე საყოველთაოდ ცნობილია და ეს სოციალიზმისთვისაც სავალდებულოა, რომ უკაპიტალოდ, უფულოდ, უსახსროდ, და რა თქმა უნდა შრომის ჩათვლით, ვერავითარი ღირებულება ვერ შეიქმნება. ამიტომაა სკანდინავიის ქვეყნებში სოციალისტურ წარმოებასთან ერთად დაშვებულია მრავალი კერძო კაპიტალისტური საწარმოები და მათ შორის შეჯიბრი და ლოიალური კონკურენცია ხელს უწყობს ბაზარზე ხარისხოვან ნაწარმის გამოშვებას.

სოციალისტური კანონმდებლობა, ფისკალური სისტემა, კერძო წარმოებას უკრძალავს, წინააღმდეგ იმისა, რაც ხდება კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, გააყალბოს თავისუფალი შეჯიბრი და კონკურენცია. ვერავინ ვერ შესცვლის, ვერაფერი ვერ გაამრუდებს შვეციის, დანიის და ნორვეგიის მუშის პირად ღირსებას და მოპოვებულ ჰუმანურ ცხოვრების პირობებს. ყველა უზრუნველყოფილია მიიღოს როგორი განათლებაც მას სურს, აირჩიოს ის პროფესია, რომელიც მის მიდრეკილებას და უნარს შეეფერება, მიიღოს საკმაო, სამართლიანი ხელფასი, რომელიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს მუშის მოთხოვნილებას, დარწმუნებული იმაში, რომ უმუშავრობა არასდროს არ შეეხება და არც მოხუცებულობა იქნება მძიმე ასატანი.

ყველაფერი ეს მხოლოდ ერთი პირობით: ყველამ ხელი უნდა შეუწყოს, დოვლათის შექმნით, საერთო კეთილდღეობის განვითარება-განმტკიცებას, რომ დაცულ იქმნეს ის ეკონომიური წარმატება, ტექნიკური პროგრესი, რომელიც მათ წინამორბედებმა დაუტოვეს.

ამას გარდა, ეს დემოკრატიის და სოციალიზმის ამალგამა, რომელიც ყველას მოწონებას და კმაყოფილებას იმსახურებს, სკანდინავიის სოციალისტების მეთაურობას არასოდეს არ უფიქრიათ ეს მათი სოციალიზმი თავიანთი ქების, პროპაგანდის და ექსპორტის საგნად გაეხადათ. მათ უფრო სასახელოდ მიაჩნიათ თავიანთი ქვეყნის ზედმეტი ნაწარმი—ერბო-კარაქი, ლორი და ძეხვი, საუკეთესო ფოლადი, ხე-ტყის მასალა და თევზეულობა გაიტანონ მსოფლიო და თვით საბჭოთა კავშირის ბაზარზე; მათ ურჩევნიათ, თავი გამოიჩინონ, თავიანთი ბარაქიანი სოფლის მეურნეობის და სამრეწველო პროდუქციის სიუხვით, ვიდრე კომუნისტური პარტიის მყვირალა რევოლუციონურ დახუტებული ფრაზეოლოგიით.

ასე, რომ ხრუშჩოვს, როგორც პოლიტიკურ სფეროში, ისე ეკონომიურ დარგში, შესაძლებლობა ჰქონდა დაჰკვირვებოდა და შეედარებინა თავის საკუთარი სოციალიზმი და სკანდინავიის და თუ მას სამაგალითოდ ვერ გაიხდის, შემდგომ მაინც მის ენაწყლიანობაში უფრო მორიდებული უნდა იყოს. მაშინ, როდესაც, მთელ მსოფლიოს თავის კომუნიზმის სისტემის უპირატესობაზე ქებას და ტრაბახს თავაზობს და ამავე დროს სხვის კარზე პურის და კარაქის სათხოვრად დაიარება.

ს. ჭირაქაძე.

## რევოლუციონერთა ევოლუცია.

საუკუნეთა მანძილზე სისხლნარევი ოფლის წყალობით კაცობრიობამ მიიღო ადამიანური ცხოვრების უფლება. „ადამიანური ცხოვრების“ უფლება შეიცავს პიროვნების თავისუფლებას: მისი ნიჭის, უნარის, ენერგიის და შემოქმედებითი შესაძლებლობის შეუზღუდველობას. პიროვნების ამ მაღალი დაფასების გამოვლინებამ ათქმევინა გრ. ორბელიანს:

„მიეცით ნიჭსა გზა ხსნილი,
„პატივი ეცით ღირსებას,
„ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
„და არა გვარიშვილობას“-ო.

ამ საფუძველზე შეიქმნა კულტურული ქვეყნიერების ახალი საზოგადოება, სადაც თანაბრად არის დაცული და პატივცემული მდიდარი და ღარიბი, დამქირავებელი და დაქირავებული და მათ მოქალაქეობრივ უფლებას თუ კანონიერად შეძენილ ქონებას გუშაგობს და მფარველობს სახელმწიფო. საზოგადოების ამგვარმა განვითარებამ მკაცრად დაგმო და უარყო „პერმანენტული რევოლუციების“ და „კლასთა ბრძოლის“ თეორიები და წამოაყენა კლასთა თანამშრომლობის პრინციპი. ეს დაედო საფუძვლად ქვეყნიერების პროგრეს; სულიერ-მატერიალური დოვლათის შექმნას და ადამიანის უფლებრივ და ქონებრივ უზრუნველყოფას.

მართალია იყო რევოლუციები და რევოლუციური ფსიქოზის ქვეშ მრავალჯერ დარღვეულა კერძო საკუთრების პრინციპი: ართმევდნენ ერთს და აძლევდნენ მეორეს, შემდეგ ართმევდნენ ყველას და მთელ ეროვნულ დოვლათს სახელმწიფო ბიუროკრატია ისაკუთრებდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ წართმევა-მისაკუთრებას, თავისუფალი ინიციატივის აღკვეთას და კერძო საკუთრების პრინციპის დარღვევას, მუდამ თანა სდევდა ადამიანის, პიროვნების უფლების და სამართლიანობის მოსპობა. ე. ი. დემოკრატიული პრინციპის დარღვევა და ტოტალიტარიზმში გადასვლა. ამგვარმა გაკვეთილებმა აიძულა კულტურული ქვეყნების თვით უაღრესი „რევოლუციონერებიც“-კი, რომ ზომიერება დაეცვათ: ჟინი და გახელება გონებისათვის დაემორჩილებინათ და უკიდურესობაში გადავარდნით არ დაენგრიათ დემოკრატიის საფუძვლები. ამ გავლენით მოხდა კულტურული ქვეყნების რევოლუციონერების მოდერნიზაცია და ისინი იძულებულნი გახდნენ პატივი ეცათ „სხვისა ქონებისათვის“, დაეცვათ კერძო ინიციატივა, კერძო საკუთრების პრინციპი და დამდგარიყვნენ კლასთა თანამშრომლობის ნიადაგზე. ე. ი. მიეღოთ დემოკრატიის მთლიანი საფუძველი, რომელმაც შექმნა ხალხის სოციალ-ეკონომიური და მოქალაქეობრივი პროგრესი.

საუკუნე იყო საჭირო, რათა მწარმოებელთა, დოვლათის შემქმნელთა შორის გაბატონებულიყო ფართო ხასიათის პასუხისმგებლობის შეგნება:—შეგნება, რომ მათი ნაწარმი ეკუთვნის საზოგადოებას, ერს, კაცობრიობას... რომ საქონლის ხარისხის ამაღლება და რაოდენობის გაზრდა დამოკიდებულია დაქირავებულის, მუშის კეთილმოწყობაზე; მის მატერიალურ დაინტერესებაზე, მის სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე და მის ადამიანურ უფლებების აღიარებაზე. ამ შეგნებამ კი წარმოშვა დამქირავებელ - დაქირავებულთა შორის ურთიერთ პატივისცემა და მეურნეობაში საერთო ინტერესი. დამქირავებელმა იცის, რომ დაქირავებულის ინტერესის დაუკმაყოფილებლად შეუძლებელია ნაწარმის ხარისხის ამაღლება და შემოქმედების გაზრდა. დაქირავებულიც დარწმუნებულია, რომ დამქირავებელის ინტერესების შებღალვა საკუთარი ინტერესების შებღალვის გარეშე არ მოხერხდება. ამ ორმხრივ შეგნებაზე დაშენდა თანამედროვე საზოგადოება. დამქირავებელ-დაქირავებულთა ეს საერთო ინტერესი დაედო „კლასთა ჰარმონიულ თანამშრომლობას“ საფუძვლად და ამან აამაღლა არა მარტო ცხოვრების დონე, არამედ შექმნა ეროვნული დოვლათი და ხალხთა უდიდესი პროგრესი.

შემოქმედების ეს პრინციპი დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს, რომელსაც ზოგი ტენდენციური ეკონომისტი „ბურჟუაზიულ მეურნეობის პრინციპს“ უწოდებს და უფრო სწორედ და მოკლედ კი ჰქვია „თავისუფალი ინიციატივის, კერძო საკუთრების პრინციპი“. ეს ყოველდღიურად განიცდის ევოლუციას, რომელიც უფრო მეტად აახლოვებს დამქირავებელ-დაქირავებულთა ინტერესებს და უფრო მეტად აძლიერებს შემოქმედების უნარს. ამ თანამშრომლობაში დაქირავებულთა ინტერესების სადარაჯოზე დგა მუშათა თავისუფალი პროფესიონალური კავშირები, ხოლო ამ ორთა კონფლიქტის შემთხვევაში არბიტრია სახელმწიფო, რათა ორივე მხარის სამართლიანი მოთხოვნილებები დაიცვას და რომელიმე მხარის ინტერესი და უფლება განუკითხავად არ იქმნეს შებღალული.

საუკუნეთა მანძილზე დამქირავებელ-დაქირავებულთა შორის შეხეთქებამ, სისხლიანმა რევოლუციებმა და ამ ორთა შორის „შეურიგებელმა მტრობამ“ ჩამოაყალიბა ინტერესთა ერთობის და ჰარმონიული თანამშრომლობის აუცილებლობა. შემდგომმა ცხოვრებამ კი ეს პრინციპი გამარჯვებულად და ეკონომიური ცხოვრების საფუძვლად აღიარა.

იქ, სადაც ეს პრინციპი დაირღვა, დაეცა ცხოვრების დონე, განიავდა ეროვნული დოვლათი და გაკოტრდა სახელმწიფო. ამის მაგალითია უზარმაზარი საბჭოთა კავშირი თავისი დაულეველი ბუნებრივი სიმდიდრეებით და ის ქვეყნები, სადაც მან თავისი სოციალ-ეკონომიური პრინციპი გააბატონა და ის ქვეყნებიც, რომლებმაც რუსეთის მიხედვით უარყვეს კერძო ინიციატივა და სახელმწიფო დაგეგმის პრინციპზე გადავიდნენ.

სახელმწიფო დაგეგმის ფორმისა და ტონის მიმცემი საბჭოთა რუსეთი დღეს უდიდესი ეკონომიური კრიზისის წინაშე დგა და თავს იტეხს თუ როგორ გამოძვრეს ამ მდგომარეობიდან. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მარქს-ლენინური ექსპერიმენტების შემდეგ რუსეთი იძულებულია უცხო კაპიტალი მიიწვიოს: მას მიანდოს ქიმიური, სამეურნეო იარაღების თუ სამრეწველო მანქანების აშენება. რუსეთის დიდ ეკონომისტებს მიეცათ დავალება, გამოძებნონ შესაძლებლობა, თუ როგორ შეიძლება „ახალ“ ეკონომიურ პრინციპზე გადასვლა, რომელიც რუსეთს ეკონომიური კრიზისიდან იხსნის. ხრუშჩოვმა სხვადასხვა დროს და ადგილას არა ერთხელ განაცხადა რუსული ეკონომიური პოლიტიკის გადახალისება აუცილებელიაო. ე. ი. სახელმწიფო დაგეგმის, —მარქსისტულ-ლენინური სოციალისტური ეკონომიური პოლიტიკის დამარცხებას ველარა მალავს. აგვისტოს 12-საც ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან საუბარში ხრუშჩოვმა განაცხადა: „საბჭოეთის ეკონომიური პოლიტიკის პროგრესი მთლიანად დამოკიდებულია ქიმიურ ინდუსტრიაზე... უცხოეთში მოგზაურობის დროს დავრწმუნდი, რომ იქ ქიმიური ქარხნების ასაშენებლად მხოლოდ ორი წელია საკმარისი, ჩვენში კი, განსხვავებული ორგანიზაციის გამო, საჭიროა 4-5 წელიო“. ამ განცხადებაში მთავარია „განსხვავებული ორგანიზაციის გამო“. განსხვავებულია ეკონომიური პრინციპი. თავისუფალი, კერძო ინიციატივიდან სახელმწიფო დაგეგმის პრინციპზე გადასვლა ყოფილა—ნიკიტას აზრითაც—„დაგვიანების“ მაშასადამე რეგრესის მიზეზი! ამას აღიარებს სახელმწიფო დაგეგმის პრინციპის ქვეყნების სულიერ-იდეური მამა, ხრუშჩოვი და ეს ხომ ნიშანია, რომ ის ძველი, კომუნიზმის მიერ მავნედ და რეგრესის პრინციპად აღიარებულ და ერთხელ უკვე დანგრეულ და განადგურებულ, თავისუფალი ინიციატივის უპირატესობას აღიარებს.

რუს „რევოლუციონერებს“ ნახევარი საუკუნე დასჭირდათ ამ ჭეშმარიტებამდე მისასვლელად და ვიდრე სახელმწიფო ეკონომია სრულიად არ დაირღვა, ვიდრე გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავარდნენ. იქამდე ყოველი მარცხის მიზეზი იყო და არის ამ ყალბი ეკონომიური პრინციპის აღმასრულებელი და ის

---

გვანებებს თავს და ჩვენ უნდა ვუთხრათ წადით!

—არ დამღუპო შვილო! სთქვა გვადიმ,—ვარ აგერ ჩემთვის, ჩემი აწეული ხმა არ გოუგონია ჯერ ჩემს მეზობლებს; დილით გასული საღამომდისინ გარედ ვარ... ნუ მომასწრებ შვილო უბედურებას!

ალათიმ მთავრობის გადადგომა-გადმოდგომის ვერა გაიგო რა და გულუბრყვილოდ შეეკითხა შვილს.

—სარფიანი საქმეში დგები შვილო თუ რა?

—თუ გამიმართლდა, სარფიანია, „ვეზდნაჩალნიკის“ ალაგზე დავდგები! მიუგო ჩოკომ.

ამის გაგონებაზე ალათიმ თვალები გამოკაკლა, გვადი კი არაფერს მოელოდა აქედან და ხელი ჩაიქნია. მაგრამ თავის გულს მაინც აჯერებდა: ჯერჯერობით ფათერაკს არ გადაჰკიდებია და ვნახოთო— სთქვა გვადიმ.

⁂

პირველმა ღამემ წყნარად და მშვიდად ჩაიარა. გათენებისას ფეხზე წამოდგა მთელი ჯალაბი. ალათიმ ცხელი ხაჭაპურები ლოგინზე მიართვა შეუდარებელს. სადილზე ნათლიმამამ გადაიწვია სასახელოდ. გვიან დაბრუნდნენ სახლში, რადგან ნასადილევს მეზობლები მოიარეს. ეხლა ყველას ახარებს ჩოკორიას სტუმრობა. ყველა ჰხარობდა. ხოლო გვადი გოგოშიას სხვა აზრი უტრიალებდა თავში, სხვის საქმეში ჩაურევლობას ჩვეულს, აინუნშიაც არ მოსდიოდა ჩიკორიას თავატეხილი საქმე.

ჯალაბი გვიან ღამით მიწვა. შუაღამეს გაცილებული იყო.. ყველას ეძინა, არ ეძინა მხოლოდ გვადის და ჩოკორიას „ვეზდნაჩალნიკობის“ ამბავი უტრიალებდა თავში. „ვის გოუგონია გოგოშია და „ვეზდნაჩალნიკობა“ ფიქრობდა გვადი.

უცბად გვადიმ ყური სცქვიტა... ნიავს შორიდან ცხენების ფეხების თქარათქური მოჰქონდა. გვადი ცხენის ხელოსანი იყო, ქურდი. რამდენ ათას ცხენს გაუვლია მის ხელში, თოქალთოიანს და უთოქალთოს, დაჭედილს და დაუჭედავს. ეს ხელობა თავიდან დაჰყვაო, ამბობდნენ მეზობლები. განსაკუთრებით ჭორის გავრცელებაში დახელოვნებული დედაკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჭორის გავრცელებაში.

„თურმეო,—ამბობდა ერთი ყველაზე მეტი მოტარტალე დედაკაცი,—სამოთხის კარები სამუდამოდ დახშულია მათი ჯილაგისათვისო და რატომ: გვადის მამა, ბიტა გოგოშია რაღაც სასწაულით სამოთხეში რო მოჰყოლია, სასეირნოდ გამოდიოდა ხოლმე და იქ ედემსრგულ ვარდს თავს დასტრიალებდა და თავისებურად დაღიღინებდა... უდარდელად მიდიოდა დღე... ნასადილევს ედემში მხართეძოზე წამოწვებოდა და ქერუბიმთა გალობით სტკბებოდა. სიმღერაში არც ქერუბიმებს ჩამოუვარდებოდა და თვითონაც აჰყვებოდა ხოლმე. ქერუბიმთ ძალზე მოსწონებიათო თურმე მისი ხმა და მიქელ გაბრიელს წარუდგინეს, მგალობელად აიყვანეს.. ბოხი ხმა ჰქონდა საოცარი, მაგრამ ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართშიო“ და ასე მოუვიდა ბიტასაც. ერთხელ არ მოისვენა და ედემის აღმოსავლეთ ნაწილში გადავიდა სასეირნოდ. მიდიოდა და თანაც ღიღინებდა. ამ დროს ცხენის ჭიხვინი მოესმა. არც აცივა და არც აცხელა... ცხენის ჭიხვინმა ფრთა შეასხა, ხმებმა მძლავრ ფრთებზე შეისვა და გააქანა გამალებით. აგერ თვალი მოჰკრა წმინდა გიორგის თეთრ ცხენს ბალახს რო ძოვდა. „ეს კაი საქმეა თუ ღმერთი შემეწია“ ეთქვა თურმე თავისთვის ბიტას და ცხენთან ახლოს მისულა. მიუალერსა და მის ალერსზე უფრო აჭიხვინდა წმინდა გიორგის თეთრი ცხენი... მისიხმა მთელს ედემს მოედვა... ბიტა უფრო მიუახლოვდა ცხენს, ცხენმა არ იურვა. „უნდა მოვაჯდე ქეჩოში“ სთქვა ბიტამ, მაგრამ ვიღაც უხილავმა თავში ახალი აზრი ჩაუსვა: „უბედურო ცხენში სცვლი ედემს.. შენს სატრფიალო ვარდს, თავს რო ევლები... ესიყვარულები... ლექსებით რო ელაპარაკები“, მაგრამ ბიტა გოგოშიას არავისი არ ესმოდა, არც უნდოდა ესმინა.ი „ცხენი, ცხენი, ლაფშა ცხენი, მეტი არაფერი ვიცი მე“ სთქვა ბიტამ და ცხენს ფაფარი დუჭირა, მოჰკურცხლა სამოთხიდანო“.

⁂

გვადიც ხომ დახელოვნებული იყო ამ საქმეში.. და მას არ გამოჰპარვია არაფერი... ამიტომ იყო რო ყურები სცქვიტა... ამ დროს მურამაც დაიღმულა.

—ფარსაგი ამბავია!— წამოიძახა გვადიმ და ოცი წლის ჭაბუკივით წამოვარდა ლოგინიდან. ცხენოსნები გვადის ეზოში შემოგრიალდნენ... მურა გახელდა.. ცხენოსნები ორმწკრივად შემოესალტნენ სახლს. ეხლა ჩოკომაც იფხიზლა და ისიც ზეზე წამოვარდა.

—კედია და ფაჩულიას მილიციონერები თუ არიან!— სთქვა გვადიმ და რატომღაც ჩოკოს შესძახა: „თავს უშველე თუ შეგიძლიაო“. მაგრამ გვიან იყო. ერთმა ცხენოსანმა ცხენი პირდაპირ დერეფანში მიაგდო და დაიძახა: —ჩოკო გოგოშიავ, გაქცევას თუ განიზრახავ, განწირულხარ, გიჯობს დაგვნებდე შენი ხელით!“— დაიძახა მან და რევოლვერი ჰაერში დასცალა. ამის გაგონებაზე მურა ძაღლი უფრო გაშმაგდა, მაგრამ მეორე მილიციელმა მათრახით გვერდი აუჭრელა. ნაგაზი მაინც არ დანებდა.. ძაღლია, იცის პატრონის ერთგულება და ყალყზე შესდგა. ბაყვებში უკბინა მხედარს. ამ ხმაურზე მეზობლის ძაღლებიც შუკაში გამოვიდნენ და ყეფით აიკლეს იქაურობა. ჩოკომ სხვენზე სცადა აბობღვა, მაგრამ გვიანღა იყო... კედიასა და ფაჩულიას მილიციელები რევოლვერ მოღერებულები სახლში შეიჭრნენ.

—რა მოხდა შვილებო!—აღმოხდა ალათის.

—არაფერია დედი ნუ გეშინიან! სთქვა ერთმა მხედართაგანმა.

ჩოკო გოგოშია თავჩაღუნული იდგა, თითქოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანიათო მისთვის— მოსტყდა ვაჟკაცი.

—ჩოკო გოგოშია თქვენა ხართ?

—დიაღ-

—გამოგვყევით!

—რატომ?

—ამას იქ გეტყვიან!

—უკანონოდ არავის გავყვები!

—ჩვენც კანონის სახელით მოვედით აქ!

სთქვა დანაყოფის უფროსმა და გვადის მიმართა: თქვენც მოემზადეთ, მოწმედ გამოგვადგებით.

ასე გათავდა ჩოკო გოგოშიას „ვეზდნაჩალნიკობის“ ამბავი. შემდეგ იგი არავის უნახავს... ყველამ მიივიწყა მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ, ჩოკო გოგოშია, ქურდი და ყალთაბანდი წითელ არმიას შემოჰყვა საქართველოში.. და ზღვისპირა ქალაქს შინსახკომის რწმუნებულად მოევლინა...

აღსრულდა რაც სთქვა... „ვეზდნაჩალნიკობა“ არ ამცდება თუ გამიმართლდაო და გაუმართლდა კიდევაც.. მართალია მაზრის უფროსი არ გამხდარა, მაგრამ მასზე უარესი კი.

მინდია ლაშაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტოლიატის გექვეთილი.

როგორც ცნობილია, იტალიელ კომუნისტების ლიდერი ტოლიატი, მოსკოვში გარდაიცვალა. მას სიკვდილის წინ თავისი აზრი წარუდგენია კრემლისათვის, რაც, თითქოს, ჩინეთ-რუსეთის „იდეოლოგიურ“ უთანხმოებას ეხება. სინამდვილეში კი, ტოლიატს ფართოდ შემოუხაზავს თავისი „მოსაზრებები“ და ეხება საზოგადოთ კომუნისტურ პარტიების და ქვეყნების ურთიერთობას.

ტოლიატი კრიტიკულად უყურებს უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირს. მისი აზრით მთავარი პრობლემაა „საბჭოთა კავშირში დამყარებული რეჟიმი, რომელიც ზღუდავს და ავიწროვებს არა მარტო დემოკრატიულ თავისუფლებას, არამედ ინდივიდუალურსაც, რომელიც სტალინმა დაამყარა და დღემდე უცვლელი დარჩა“. ტოლიატის აზრით, საჭიროა საბჭოთა რუსეთი დაუბრუნდეს დემოკრატიულ პლატფორმას და აღიაროს არა მხოლოდ პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი, არამედ ეროვნული თავისუფლებაც. მაშასადამე, ტოლიატის მტკიცებით, არ არსებობს რუსეთში არც დემოკრატია, არც ეროვნული და პიროვნული თავისუფლება და არც ერთი ამათგანი არამც თუ უზრუნველყოფილი არ არის მთავრობისაგან, არამედ არც აღიარებულია ფორმალურადაც კი.

ეს უდაო ჭეშმარიტება დღევანდლამდეც ცხადი იყო. ამ მოვლენაში ახალი მხოლოდ ის არის, რომ ამას რუსეთის ერთგული ტოლიატი აღიარებს.

სჩანს ტოლიატს ჯერ კიდევ ჰქონდა ილუზიები, რომ საბჭოთა რუსეთი გახდებოდა იმ ლიბერალური რევოლუციების მემკვიდრე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის მანძილზე. ამგვარი ილუზიის მსხვერპლი არა ერთი დასავლეთელი შეიქმნა.

არც ის შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რომ რუს კომუნისტებს კიდევა სჯერათ კომუნიზმი და მისი პრინციპები. ყოველშემთხვევაში, ეხლა მაინც, რაც ცხადი გახდა, რომ კომუნიზმმა მოსპო თავისუფლება არა მარტო ლიბერალურ-დემოკრატიული გაგებით, არამედ თვით საშუალო საუკუნეების ფეოდალურ-მონარქიული შინაარსითაც. უფრო კი მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა კომუნისტური ეკონომიური პოლიტიკის უვარგისობა. ეჭვი არ არის ეს უდიდეს გავლენას მოახდენდა დასავლეთის „ინტელექტუალურ კომუნისტებზე“, რომლებსაც ჯერ კიდევა სჯეროდათ რუსეთში წარმოებული ექსპერიმენტების ნაყოფიერება.

რუს კომუნისტებისათვის ამ გაკოტრებული იდეის შემონახვა, მისი „შეკეთება“, „გაახალისება“ და „რეფორმები“, სასიცოცხლო საკითხია რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკაში. „ძმურ კომუნისტურ პარტიების და ქვეყნების“ ცენტრალიზმზე დაშენდა თანამედროვე რუსული იმპერიალიზმი და რუსეთის მსოფლიო ჰეგემონიის ილუზიები. ამგვარად, კომუნისტური მიზეზების გამოკლებით რუსეთი ველარ შეინახავს საკუთარ იმპერიას, რადგან ანტიდასავლეთურ პროპაგანდის პროცესში მან თვითონვე შეარყია ამის საფუძვლები.

დასავლეთელ კომუნისტებისათვის კი ეს საკითხი არ არსებობს და ტოლიატი სწორედ კომუნიზმის დასავლეთური გაგების პირველი მერცხალი იყო. მან გარკვევით დააყენა „თანასწორობის“ და „დამოუკიდებლობის“ საკითხი.

ტოლიატისათვის,—ე. ი. დასავლეთელი კომუნისტისათვის, პარტიული „დამოუკიდებლობა“ შეიცავს ეროვნულ დამოუკიდებლობასაც, იმ ქვეყნებისათვის, სადაც „კომუნიზმი უკვე დამყარებულია“. ტოლიატის აზრით „რიცხვსა და ტერიტორიალური სივრცის განურჩევლად“, კომუნისტურ სამყაროში ყველა ქვეყანა და ყოველი ქვეყნის პარტია უნდა იყოს თანასწორი და დამოუკიდებელი. ცხადია, აქედან განდევნილია ცენტრალიზმის იდეა, მოსკოვის წამყვანი როლი, მისი ლიდერობა და მისი ჰეგემონია. მოსკოვი კი სწორედ ამ უკანასკნელს არა სთმობს, რადგან ეს ხელის აღება იქნება რუსეთის ტრადიციულ- იმპერიალისტურ პოლიტიკაზე. რაც ახალი, უცნობი მოვლენაა რუსეთის ისტორიაში და ახალის მიღება და ძველის უარყოფა, ფსიქოლოგიურად, არც ისე ადვილი საქმეა.

ასეა თუ ისე, ტოლიატის წერილმა გამოავლინა, რომ დასავლეთის კომუნისტებს უკვე შეგნებული აქვთ, რომ მოსკოვი კომუნიზმს მსოფლიოში გაბატონებისათვის იყენებს. მეორეს მხრივ ისიც გამოვლინდა, რომ არა რუს კომუნისტებს მოსკოვის მონობა არა სურთ და დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფიან.

ტოლიატის აზრით, არსებულ მდგომარეობაში სოციალიზმის გამარჯვება დამოკიდებულია სულ სხვა პირობებზე, ვიდრე ეს წარსულში იყო. ეს პირობები იმდენათ იქნება სხვა და სხვა გვარი, რამდენათაც თვით ხალხი ატარებს ერთი-მეორისაგან განსხვავებულ თვისებებს. ამიტომო—აცხადებს ტოლიატი, ყოველი პარტია უნდა მოქმედობდეს დამოუკიდებლად, ავტონომიურად, იმის და მიხედვით, თუ მისი ერის ტრადიციას და თვისებებს რა მოუხდება. როგორც აქედან ირკვევა, ტოლიატი კატეგორიულად წინაამდეგია შეიქმნეს ცენტრალისტური საერთაშორისო ორგანიზაცია. „ჩვენ შეგვიძლიან მოვაწყოთ საერთო ყრილობები, კრებები, განვიხილოთ საკითხები, მაგრამ აქედან წინდაწინ უნდა იყოს გამორიცხული, რომელიმე ქვეყნის კომუნისტური პარტიის პრივილეგია“.

„ჩინელებთან კონფლიქტის გარდა, სხვა პრობლემებიც არსებობენ. არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს სოციალისტურ ქვეყნებში ყველაფერი რიგზეა. პირიქით, ესენი განიცდიან დაპრკოლებებსა და წინაალმდეგობებს. ყველაზე უარესია, შევქმნად შთაბეჭდილება, თითქოს, ყველაფერი თავის ალაგზეა და უცბად აღმოვჩნდეთ დაპრკოლებათა წინაში და იძულებული გავხდეთ მასზე ვილაპარაკოთ და ის განვმარტოდ“.

ამგვარად ტოლიატი სწორედ იმ სამყაროში გადავიდა, რომელშიც იუგოსლავია, ჩინეთი, ალბანია და სულ ბოლო დროს რუმინიაც მოექცა. ე. ი. დამოუკიდებელი პოლიტიკის გზას დაადგა. ასევე მტკიცედ დაადგა "დამოუკიდებლობის გზას ფრანგული კომუნისტური პარტიაც.

მართალია კრემლი ჯერ კიდევ იბრძვის და „ძიძმე პარტიების“ ერთობას მაღალი მჭერმეტყველობით ღაღადებს, მაგრამ კომუნისტური სამყაროს მონოლიტობის დარღვევა უკვე ფაქტია და უკან მოუბრუნებელი ოცნება. ამით მოსკოვი ჰკარგავს „უფროსი ძმის“ და კომუნისტური სამყაროს ხელმძღვანელის როლს და ხელიდან ეცლება ჰეგემონია.

რუმინიამ დიდ ხანს იბრძოლა „ავტონომიური“ უფლებისათვის. თუ კრემლის დადგენილებით იქ უნდა მძიმე ინდუსტრია განვითარებულიყო, ბუხარესტის მტკიცებით, მისი სახელმწიფოებრივი ინტერესები სხვას მოითხოვდნენ. ბუხარესტი არ იყო წინაალმდეგი, რომ თავისი ნავთი, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი, თუ სხვა რამ მარაგი, პირველ რიგში მოსკოვისათვის მიეყიდა, მაგრამ ამაში მოითხოვდა საერთაშორისო ბაზრის ფასებს და ეს არ უნდა ყოფილიყო მიღებული, როგორც „უფროსი ძმის“ წინაშე მოვალეობის მოხდა. „პარტიული ხაზით“, რომ ვერაფერი გაეწყო და მოსკოვმა თავის პრივილეგიურ როლზე უარი არა თქვა, რუმინია აშკარად გამოვიდა საერთაშორისო ბაზარზე და ვაშინგტონთან და პარიზთან დაიჭირა სავაჭრო ურთიერთობა.

ამგვარ, ე. ი. მოსკოვისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის და დეცენტრალისტურ მოძრაობას, დღეს ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიაში ვხედავთ. შეიძლება მცირედი განსხვავებით, მეტ-ნაკლები გამოვლინებით, მაგრამ პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარია და სხვანი რუმინიას არ ჩამორჩებიან. ულოღიკობა იქნება ვიფიქროთ, რომ ამგვარივე მოძრაობა არ იარსებებს თვით საბჭოთა კავშირის არა რუს კომუნისტებში. თუმცა, ძალიან ადვილათ ასახსნელი მიზეზების გამო, იქ ამის გამოვლინება ყველაზე ძნელია და მას დრო და ჟამი დასჭირდება.

დღეს მოსკოვი გარდაუვალი პრობლემის წინაშე დგა: ან უნდა ნებაყოფლობით აიღოს ხელი „მეთაურობაზე“, უარყოს მსოფლიოში გაბატონების იდეა და მისგან დაპყრობილ ერებს დაუბრუნოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ან ცხოვრება თვით აიძულებს დაიჩოქოს ამ ისტორიული გარდაუვალობის წინაშე, ისევე, როგორც მან წამოიჩოქა კაპიტალისტური მეურნეობის პრინციპის წინაშე და მისი უპირატესობა აღიარა.

თუ რომელს აირჩევს ეს გამოამჟღავნებს რუსეთის პოლიტიკის მეთაურების სახელმწიფოებრივ სიმწიფეს.

**დონი.**

## რევოლუციონერთა ევოლუცია

(დასაწყისი იხ. მეოთხე გვ.)

(დასაწყისი იხ. მეოთხე გვ.)

ისჯებოდა. მართალია დღეს ხრუშჩოვი აღიარებს საბჭოეთში გაბატონებული ეკონომიური პრინციპის მცდარობას და საბჭოთა ეკონომისტებიც თავს იტეხენ, როგორ დაუბრუნდნენ ძველ, ცხოვრებისგან გამართლებულ თავისუფალი ინიციატივის პრინციპს, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ კრემლი ისევე „რევოლუციონური, დარტყმის წესით“ მოახერხებს უკან შემობრუნებას, როგორც ძველის დანგრევა და ეროვნული დოვლათის განიავება მოახერხა. შეუძლებელია ეკონომიურ უკან შემობრუნებას პოლიტიკური სისტემის ცვალებადობა არ მოჰყვეს. ეს კი, საბჭოთა ახალ არისტოკრატიაში გაბატონებულ „თვით შემონახვის“ და ძალა-უფლების შენარჩუნების გრძნობას არ ეგუება და პარტიულ იერარქიაში ამ ნიადაგზე ბრძოლა შეიძლება დიდ ხანს გაგრძელდეს, თუ გალატაკებული და დამშეული საბჭოთა მოსახლეობა ახდილად და აშკარად არ გამოვიდა ასპარეზზე.

დასავლეთის რევოლუციონერებმა კი ადრე დასძლიეს ჟინიანობა. ადრე განიტვირთნენ პერმანენტული რევოლუციის ფსიქოლოგიისაგან და ცხოვრების ევოლუციის დენას გაჰყვნენ. დღეს ისინი უფრო ძველი, სისხლიანი რევოლუციების სიმბოლიური ნაშთებია, ვიდრე თავისი პირვანდელი პროგრამების პრაქტიკული განმახორციელებლები. ისინი დიდი ხანია განიტვირთნენ „ჩამორთმევა-ჩამოგლეჯა, განზოგადოების“ ფსიქოზისაგან და გაყვნენ სამართლიანობის გზას.

ამიტომ მიგვაჩნია შემცდარათ ბ-ნი ს. ჭირაქაძე, როდესაც ფიქრობს (იხ. ამავენომერში მისი წერილი) თითქოს ხრუშჩოვმა იხილა რა „დემოკრატიული სოციალიზმის ნაყოფი“ სკანდინავიის ქვეყნებში მას ენა ჩაუვარდა.

მარათლია სკანდინავიის ქვეყნებში ხშირათ იყო და არის სოციალისტური მთავრობები, მაგრამ ისიც მართალია, რომ იმ ქვეყნებში მონარქებიც სხედან და სოციალისტები იძულებულნი არიან, მთავრობაში მოსვლის დროს, მონარქებს ერთგულება შეფიცონ,—ეს უკვე ბევრსა ნიშნავს! ვერც იმას უარყოფს ვერავინ, რომ „დემოკრატიული სოციალიზმის“ სკანდინავიის ქვეყნებში ხელუხლებია ეკონომიკის „კაპიტალისტური“ პრინციპი და ამან შექმნა პროგრესი, ამან ააყვავა ქვეყანა; აამაღლა ცხოვრების დონე და ეროვნული დოვლათი და ამ შემთხვევაში „დემოკრატიული სოციალიზმის“ დამსახურება მხოლოდ მათი წინდახედულებაა, რომ არ გაჰყვნენ პროგრამის პუნქტობრივ განაღდებას და რუს რევოლუციონერების მსგავსად არ დაანგრიეს ეკონომიკის ის პრინციპი, რომელიც აღორძინების საფუძველია.

ამას უწოდეთ ჩვენ დასავლეთის რევოლუციონერების ევოლუცია, რომელიც ვერ განიცადეს რუს რევოლუციონერებმა და სწორედ ამ ჩამორჩენილობამ ჩააგდო საგონებელში ნიკიტა და არა „დემოკრატიული სოციალიზმის“ გამარჯვებამ, როგორც ეს ბ-ნ ს. ჭირაქაძეს ჰგონებია.

**ორიანი**

## ქართულ სათვისტომოში.

დიდი ხანია არსებობდა აზრი ქართულ სათვისტომოს გამგეობასთან დაარსებულიყო სპეციალური კომისია, რომელიც უხელმძღვანელებდა ჩვენი შორეული თუ ახლო წარსულის შესწავლის საქმიანობას. რამოდენიმე წლის წინ, საზოგადოების თავმჯდომარე დრ. ო. ზალდასტანიშვილმა ამ საქმის ხელმძღვანელობა მიანდო სათვისტომოს ერთ დამსახურებულ წევრს, რომელმაც ზოგიერთი დაპრკოლებების გამო ვერ განახორციელა.

გასულ გაზაფხულზე ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა საზოგადოების საჯარო კრებაზე და გამოითქვა სურვილი, რომ გამგეობასთან შესდგეს „კულტურული წრე“, რომელიც ქვეკომისიის სახელით გაუძღვება ამ საქმიანობას. იმავე კრების ერთსულოვანი გარდაწყვეტილებით არჩეულ იქმნა კომისია: თავმჯდომარე—ალ. ჩხენკელი, წევრებათ: ბ. ბ. ი. გაჟონია, გრ. აბულაძე, გ. ჯაყელი, ვ. სანგულია და მ. სინდიკელი. შემდეგ ბ-ნ ალ. ჩხენკელმა მოიწვია შემდგარი ქვე კომისიის სხდომა, რომელსაც წარუდგინა შემდეგი პროგრამა: 1. მოხსენებებს უნდა ჰქონდეს შესწავლის ხასიათი და 2. მოხსენება და მსჯელობა არ უნდა სცილდებოდეს აკადემიურ ჩარჩოს.

კომისიამ იმსჯელა თუ რა საკითხები იქნებოდა პირველ რიგში დასამუშავებელი. საერთო განწყობილების მიხედვით გამოირკვა, რომ სასურველი იყო მუშაობის დაწყება იმ საკითხებით, რომლებიც უცნობია ახალი თაობისათვის; რომლებზედაც ბევრი არ დაწერილა და რაც დაიწერა ისიც ძნელად საშოვარი, ხელმიუწვდენელია. ასეთებათ დაისახა: 1. საქართველო რუსეთის ურთიერთობა. კომისიის აზრით, მიუხედავათ ჩვენი ისტორიოგრაფიის დიდი წარმატებისა, თავისი ნაკლიც თანა სდევს. მაგ. მოსკოვის ახალი, რუსიფიკატორული პოლიტიკის თანახმად, ყველგან და ყველაფერი უნდა შექმნილიყო, და იქმნებოდა, „დიდი რუსის ხალხის ძმური დახმარებით“. ეს იმდენათ შორს წავიდა ,რომ ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოებშია შეტანილი, თითქოს საქართველო-რუსეთის „ძმური და მეგობრული“ ურთიერთობა 11-ტე საუკუნიდან იწყება და თვით დავით აღმაშენებელს „სელჯუკიანთა წინაალმდეგ ბრძოლებში რუსები ეხმარებოდნენ..“ და სხ. ამიტომ კომისიამ საჭიროთ დაინახა პირველი საჯარო საუბარი ჩაეტარებინა სწორედ ამ თემაზე, რომლის აღსრულება დაევალა მ. სინდიკელს.

მეორე საკითხი, რომელიც ყველაზე ნაკლებათ არის ცნობილი: ეროვნული მთავრობის და ემიგრაციის მოღვაწეობაა უცხოეთში. ამ საკითხის დამუშავება მიენდო ბ-ნ ალ. ჩხენკელს. ამავე დროს კომისიამ მიიღო გარდაწყვეტილება სთხოვოს სათვისტომოს გამგეობას, რათა წლის განმავლობაში ჩატარებული საუბრები, კრებებზე დამსწრეთა შენიშვნებით, წლის დამლევს დაიბეჭდოს ცალკე წიგნაკად ფართო საზოგადოების გასაცნობად, და ასევე შესწავლის მიზნით, მისი აზრის მოსასმენად.

„საქართველო რუსეთის ურთიერთობის“ შესახებ პირველი საუბარი ჩაატარა მ. სინდიკელმა, რომელიც შემოფარგლა 11-ტე საუკუნიდან 1801 წლით, როდესაც რუსეთმა მოსპო ქართული სამეფო და ის თავის კუთვნილებად აქცია.

საათნახევრიან საუბარს დიდის ინტერესით და დაუღალავი ყურადღებით ისმენდა დამსწრე საზოგადოება.

მიუხედავათ იმისა, რომ მომხსენებელმა დასაწყისშივე განაცხადა: „როგორც არა სპეციალისტი და ისიც ემიგრაციაში მასალების ნაკლულოვანების გამო, ჩემს მიერ ამ საკითხზე საუბარი იქნება საკითხის მხოლოდ დაყენება და არა მისი საფუძვლიანი განხილვა და მით უფრო არა გადაწყვეტა“-ო, მაინც ქართულ-უცხოური დოკუმენტაციით სამი რამ ცხადჰყო: 1. რომ 11-ტე საუკუნიდან 16-ტემდე რუსეთს არავითარი „ძმური და მეგობრული“ დახმარების და გავლენის მოხდენა არ შეეძლო და 2. რომ 16—18 ს. დასასრულამდე მუსულმანურ ზღვაში მოქცეულ საქართველოს რუსეთისაკენ გახედვა—ჩვენთვის საგარეო პოლიტიკის, ხოლო რუსეთისათვის კი ექსპანსიის საკითხი იყო, რომელიც საქართველოსათვის მეტად დამაზარალებელი აღმოჩნდა. „თუმცა ეს ურთიერთობა, უმთავრეს შემთხვევაში, პლატონიურობას არ გასცილებიაო“. 3. საქართველო-რუსეთ შორის დადებული ტრაქტატი (1783 წ.) ორ სუვერენულ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებაა და ეს არის საქართველო- რუსეთის ურთიერთობის ერთად-ერთი იურიდიული დოკუმენტი, რადგან გიორგი მეფის „დამატებითი მუხლები“ არამც თუ არ დამტკიცებულა, არამედ, არც ვარჩიულა. თუმცა არც ამ „დამატებითი მუხლებით“ ჰკარგავდა საქართველოს სამეფო სუვერენობას და 1801 წ. ადგილი ჰქონდა რუსეთის მიერ ტრაქტატის ცალმხრივ დარღვევას და ძალმომრეობას.

მეორე მოხსენება: „ეროვნული მთავრობის და ემიგრაციის მოღვაწეობა უცხოეთში“ ივლისის 26-ს ჩაატარა ბ-ნ ალ. ჩხენკელმა. მომხსენებელმა, თემის სიდიდის გამო, გაჰყო რამოდენიმე ნაწილად.

პირველი მოხსენება შეეხო ეროვნული მთავრობის საქართველოში მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს და ემიგრაციის პირველ ორ წელიწადს.

***

ბ-ნ ალ. ჩხენკელის მორიგი საუბარი: „ეროვნული მთავრობის და ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა უცხოეთში“, შესდგა ოქტომბრის 11-ს. მომხსენებელმა დოკუმენტებით დაადასტურა, რომ ქართულ ეროვნულ მთავრობას და ემიგრაციას ემიგრანტობის ხანაში არ ეძინა და მათ მაქსიმუმი გაუკეთებიათ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდისთვის და საქართველოს ეროვნულ-დამოუკიდებლობის აღსადგენად დიდი შრომა გაუწევიათ. „მართალია იყო პარტიათა შორის უთანხმოება, მაგრამ არც ერთ პარტიას საქართველოს დამოუკიდებლობის დროშა ხელიდან არ გაუგდია და ამ მხრივ მთელი ემიგრაცია მუდამ გაერთიანებული იყოო“. შემდეგ მომხსენებელი შეეხო მეორე მსოფლიო ომის პერიოდს და განაცხადა: „დასაწყისში ეროვნული მთავრობა და ემიგრაცია მთლიანად დადგა ანგლო-ფრანგული კოალიციის გვერდით, მაგრამ, როდესაც ჰიტლერმა შეუტია რუსეთს, ქა-

## ქართულ სათვისტომოში

(დასაწყისი იხ. მეხუთე გვ.)

რთული ემიგრაციის წმინდა მოვალეობა იყო ამ ბრძოლაში ჩარევა და კიდეც ჩაერია, ეს იყო უაღრესად პატრიოტული აქტი და აქედან გამორიცხულია ჰიტლერიანული თუ სხვა პოლიტიკური მოტივებიო".

მომხსენებელი აგრეთვე შეეხო საფრანგეთში დაარსებულ პარტიათა გაერთიანების საკოორდინაციო ბიუროს. აღნიშნა ამ მოვლენის დიდი დანიშნულება, რომელსაც ყოველმა ქართველმა, ყოველ ქვეყანაში ხელი უნდა შეუწყოს.

დასასრულს, მეგობრული და საქმიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ ულრმესი მადლობა გადაუხადა მომხსენებელს.

ამ კრებებზე საიმედო და წამახალისებელია ატმოსფერო, ატმოსფერო არა მარტო საქმიანი და მონდომებული, არამედ მეგობრული და ერთი-მეორის გამგები, რომელიც ემიგრაციაში შემოჭრილ „საბჭოთა ფსიქოლოგიის" ხალხმა დიდი ხანია რაც დაარღვია.

ცხადია, ეროვნული ემიგრაციის პოზიტიური მუშაობით აღშფოთებული „საბჭოთა კულტურული გაცვლის მსხვერპლები" არც ეხლა დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა ახალ-ახალი პროვოკაციებით ხელი შეუშალონ საქმიანობას და მოსწამლონ ატმოსფერო, მაგრამ ქართველ მამულიშვილთა მოვალეობა სწორედ ის არის, რომ არ აჰყვნენ პროვოკაციებს და დინჯი და მოფიქრებული მოქმედებით მოიგერიონ, როგორც შინ შემოჭრილი „საბჭოთა პოზიციის და ფსიქოლოგიის", ისე მათი წამქეზებელი ბოლშევიკების თავდასხმები.

***

სექტემბრის 13-ტს, სათვისტომოს გამგეობის ინიციატივით ქართულმა საზოგადოებამ ღრმა შთაგონებით აღნიშნა 1924 წ. აგვისტოს აჯანყების ორმოცი წლისთავი.

სათვისტომოს საკუთარ სახლში მოწვეულ იქმნა ბერძენი მართლმადიდებელი კათედრალის მოძღვარი, რომელმაც აკურთხა 1924 წ. აჯანყების მსხვერპლები და მათი საუკუნო სასუფეველი ღმერთს შეავედრა.

შემდეგ გამგეობის სახელით კრება გახსნა ბ-ნ ი. მენთეშაშვილმა, რომელმაც აჯანყებაში დაცემულ მამულიშვილებთან ერთად მოიხსენია სამშობლოსათვის შეთქმულთა გუნდის წევრი, ახლად გარდაცვალებული მცხოვანი მოღვაწე აკაკი პაპავა და საზოგადოებას სთხოვა მათ ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეს.

აჯანყების შესახებ მოხსენება გააკეთა ბ-ნ გრ. აბულაძემ. აჯანყების საინტერესო მიმოხილვას მოხდენილად დაუკავშირა მისი ისტორიული პერსპექტივები, რის გამოც საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს: ბ. ბ. ინჟ. ვ. კობახიძემ, ალ. ჩხენკელმა, გ. ჯაყელმა, ს. ჯინჭარაძემ და სხ. დასასრულს ბ-ნ გ. ზალდასტანიშვილმა შეიტანა წინადადება: გამოვცეთ და მიუძღვნათ 1924 წ. აჯანყებისთვის და აჯანყებაში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას, საქართველოს შესახებ, ინგლისურ ენაზე კაპიტალური შრომა, რომელიც უნდა შეიცავდეს: 1. საქართველოს ტერიტორიას, 2. მოსახლეობას, ისტორიულ მიმოხილვას, 3. რელიგიას, 4. კულტურა და მის საწყისებს და 5. დამწერლობას და ლიტერატურას.

საზოგადოებამ ერთსულოვნად დაადასტურა წარდგენილი წინადადება და სათვისტომოს გამგეობას მიანდო ამ საქმისთვის დაუკავშირდეს თავისუფალ ქვეყნებში არსებულ ყველა ქართულ სათვისტომოებს, ქართული საკითხის უცხოელ სპეციალისტებს და ამ გზით ითაოს მასალების მოგროვება. თუ გამგეობა საჭიროთ დაინახავს, ამ განზრახვის აღსასრულებლად ან მიიწვიოს საჭირო პირები, ან შეადგინოს სპეციალური კომისია.

=

კულტურული კომისიის მორიგი საჯარო კრება შესდგება ნოემბრის 15-ს.

ბ-ნი ი. მენთეშაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ახალი ომის შესაძლებლობის ჩანასახები".

ვ. სანგულია.

## მისაბაძი მაგალითი.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორმოცი წლისთავი პარიზის სათვისტომომ ოქტომბრის 18-ს გადაიხადა. პარიზის სათვისტომოს თავმჯდომარეს ბ-ნ ლ. ზურაბიშვილს, საჭიროდ დაუნახია სხვა სათვისტომოებისთვისაც მიემართა და ეთხოვა თავიანთი აზრის გაგზავნა. ქართველ სათვისტომოებ შორის ამგვარი თანამშრომლობა დიდათ გაადვილებს ქართული ემიგრაციის გაერთიანების და ქართული საქმის ერთობილ სამსახურს. ამიტომ გვახარებს და მივესალმებით საფრანგეთის სათვისტომოს თავმჯდომარის ინიციატივას.

შეერთებულ შტატებში არსებულ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ დაუყონებლივ უპასუხა. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია აქაური სათვისტომოს თავმჯდომარის განუხრელი ხაზი, რომელიც მან შეერთებული შტატების სათვისტომოში შემოიღო და გაბატონა. დრ. ო. ზალდასტანის ღრმა რწმენით, ჩვენი ისტორიული დატების აღნიშვა არ უნდა იყოს მხოლოდ „ტრადიციის" შესრულება, არამედ მისთვის მთავარია აქედან გამომდინარე ვალდებულებების აღიარება და მისთვის მუშაობა. დრ. ო. ზალდასტანიშვილის თავმჯდომარეობის დროს ყოველი მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ამ მიზანს ემსახურება; ეს არის არა წარსულის „დატირება", არამედ მოფიქრებული და დაგეგმილი მუშაობის პროგრამა. ამავე ხასიათის წერილი გაუგზავნია საფრანგეთში თავისი კოლეგისათვის, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

**ბატონო თავმჯდომარე!**

დღეს თქვენ იკრიფებით, რათა აღნიშნოთ 1924 წლისაგვისტოს აჯანყების ორმოცი წლისთავი.

გთხოვთ მაგ კრებაზე დამსწრე ქართველებს მოახსენოთ, რომ შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველები, თავისი შინაგანი განცდებით, უერთდებიან თქვენი თავშეყრის წმინდა გრძნობებს.

წარსულის მსგავსად, განახლებულმა საქართველომაც შექმნა ისტორიული დატები, რომელიც ჩვენი ხანგრძლივი არსებობის ბრძოლის ისტორიის დაუსრულებელ ჯაჭვში განსაკუთრებულ რგოლად შევიდნენ. 1924 წლის აჯანყება ერთი თვალწარმტაცი და სანიმუშო რგოლია.

ჩვენი ისტორიის ამ ჯაჭვში ყოველი რგოლის გამოკლება დაარღვევს თანმიმდევრობას, ამიტომ უფრო მოსაწონია უცხოეთში მცხოვრებ ქართველებისათვის მისი ხსოვნა და მოგონება და აქედან გამომდინარე ვალდებულებების აღიარება.

განვლილ ორმოც წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა: შეიცვალა ბრძოლის მეთოდები და საშუალებები, ცხოვრების კანონის გარდაუვალობამ შესცვალა ქართულ ასპარეზზე მომქმედი პიროვნებებიც. უცვლელი დარჩა მხოლოდ მიზანი. ძველი, გამოცდილი თაობის ამ ქვეყნიდან გასვლამ, ახალ თაობას დააკისრა მათი მოვალეობა და ქართული საქმის პატრონობა. მთავარია ახალმა მოღვაწეებმა სწორედ გაიგონ შექმნილი მდგომარეობის შინაარსი და მოქმედებას სწორი მიმართულება მისცენ.

დროთა ვითარებაში წარმოშობილმა მოვლენებმა ცხადჰყვეს, რომ საჭიროა ჩვენი საკითხის გამარტივება. მას უნდა ჩამოშორდეს ზოგი გარსი, რომელიც დედააზრს გარს შემოერტყა და რომელმაც იგი დაჩრდილა.

თავისუფალ ქვეყნებში არსებულ სათვისტომოების და ყოველი ქართველის მოვალეობა მარტო ის არის, რომ ნათლად, მარტივად გაიტანოს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა; რომ ჩვენ უნდა შევინახოთ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პოზიცია და მას მომხრეების და მეგობრების რიცხვი გაუმრავლოთ. ამისათვის, წინდახედულობასთან ერთად, საჭიროა დაგეგმილი, მოფიქრებული და გაბედული მოქმედება.

მხოლოდ ამგვარი საქმიანობით იქნება შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ცოცხლად შევინახოთ და როცა დრო და ჟამი დადგება, იდეა ყოველ არმიაზე უფრო ძლიერი იქნება.

ამ საიმედო მომავლის რწმენით მივესალმები თქვენ საზოგადოებას და გისურვებთ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორმოცი წლისთავის აღსანიშნავად მოწვეულ კრების წარმატებით ჩატარებას.

**პატივისცემით, ო. ზალდასტანიშვილი.**

შ. შ. ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე.

## დაპყრობილი საქართველო.

(1964 წ. ივნისის 1-ლის გერმანულ ენაზე გამომავალ გაზეთ „ნიუ-იორკ შტად ცაიტუნგ ენდ ტრიბუნ"-ში, ზემო მოხსენებულ სათაურით დაიბეჭდა ჰელმუტ ბრუნაუს წერილი).

„ნიუ-იორკის ქართული სათვისტომო ყოველ წლიურათ დღესასწაულობს საქართველოს თავისუფალი სახელმწიფოს აღდგენის წლისთავს, რომელიც მოხდა 1918 წ. 26 მაის.

ქართველი ერის სახელმწიფოებრივი თავისუფლების აღდგენას წინ უსწრებდა მთელი საუკუნის მანძილზე წარმოებული ბრძოლა. სამწუხაროდ ესეც აღმოჩნდა ხანმოკლე, რადგან სამი წლის თავისუფალი არსებობის შემდეგ რუსული წითელი ჯარი შეესია მას და ის გადააქცია რუსეთის ახალი, წითელი იმპერიის კოლონიად.

იმ დროს საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო დიდმა სახელმწიფოებმა და თვით საბჭოთა რუსეთმაც.

საქართველოს მთავრობას, რომელიც სოციალ-დემოკრატებისგან შესდგებოდა, ლენინის რუსეთთან დადებული ჰქონდა თავდაუსხმელობის პაქტი და დარწმუნებული იყო, რომ მათ ქვეყანას ამ მხრივ არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

რუსეთის ახალი თავდასხმა 1921 წ. თებერვალში იმდენად მოულოდნელი იყო, რომ და საწყისში მას ეს გაუგებრობის შედეგი ეგონა. მთავრობის თავმჯდომარემ სცადა პირდაპირი მავთულით დაკავშირებოდა ლენინს, რომელიც უშედეგო გამოდგა, რადგან რუსეთს საქართველოს დაპყრობა გადაწყვეტილი ჰქონდა.

ამ მუხანათური თავდასხმის და ტრაღიკული ოკუპაციის შემდეგ, ქართველი ერი დღევანდლამდე იმყოფება კომუნისტური, ე. ი. რუსული ტერორის ქვეშ.

ლენინის შემდეგ, სტალინის ბატონობა აღმოჩნდა უფრო მძიმე. სტალინმა უკეთ იცოდა თავისი თანამემამულეების განწყობილება კომუნიზმის და საერთოდ რუსეთის მიმართ. იცოდა ქართველების თავისუფლებისადმი მაღალი მიძღვნილობა და სიყვარული. ამიტომ სცადა მოესპო ყველა მოწინააღმდეგე და ისენიც, ვინც შეიძლებოდა მოწინააღმდეგეები ყოფილიყვნენ.

ამ საქმეში სტალინის თანაშემწე იყო პირველი ჩეკისტი, სადისტი ეჟოვი, ხოლო მისი ლიკვიდაციის შემდეგ კი, ისეთივე ჩეკისტი და ტირანი ბერია.

გასული მაისის 26-ს დღესასწაულზე ქართულმა სათვისტომომ მიიღო მრავალი მისალმებები: თანაგრძნობის დეპეშები და წერილები. ოფიციალური მიმართვებიდან აღსანიშნავია გუბერნატორ ნელსონ როკფელერის და მრავალ სენატორ-კონგრესმნის დეპეშები. ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დღევანდელი საოკუპაციო ხელისუფლება საქართველოში ატარებს ძველ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, მაგრამ უფრო თვალთმაქცურად, ვიდრე იმპერატორების და სტალინის დროს იყოო.

ახლაც ხშირია დაპატიმრება და გადასახლება ეროვნული განწყობილების გამომჟღავნებისათვის. ხრუშჩოვის პოლიტიკური რეჟიმი, ემიგრანტების საბჭოეთში მიპატიჟებით ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს კომუნისტური ტირანიის მამხილებელი ემიგრაცია და მას მოუსპოს შესაძლებლობა ემსახუროს თავის ერის განთავისუფლებას და თავისუფალ ქვეყნებში ამხილოს კომუნისტური ტირანია და მოსკოვის იმპერიალისტური მიზნებიო.

დღესასწაულზე ამერიკელები და დაპყრობილი ერების წარმომადგენლები ესალმებოდნენ ქართველებს და უცხადებდნენ თანაგრძნობას.

ისმოდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული ენები და, რასაკვირველია, სჭარბობდა მაგარი ბგერიანი ქართული ენა... ენა, რომლის მოსპობასაც რუსეთი ასორმოცდა ათი წლის განმავლობაში ცდილობს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოახერხა.

ქართველებმა ათასი წლების განმავლობაში შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული მეობა, ენა, სარწმუნოება, ძველი ქრისტიანული კულტურა და ცივილიზაცია. გაუძლეს მრავალ უცხო შემოსევებს და თავი დააღწიეს უცხო მპყრობელებს. ასევე გამარჯვებულნი გამოვლენ რუსულ საბჭოთა იმპერიალიზმთან ბრძოლაშიც.

ავტორის ნებართვით თარგმნა

**გრ. აბულაძემ.**

## ანტიკომუნისტური ინტერნაციონალი.

ანტიკომუნისტური ინტერნაციონალი (ა. კ. ი.) დაარსდა ნიუ-იორკში 1959 წ. 1-ლ მაისს. ეს იყო სხვა და სხვა ერების წარმომადგენელთა დადგენილების შედეგი. „ა. კ. ი." ამოცანა არის: გააერთიანოს დაპყრობილი და მათი დამხმარე ერების აქტიურად მომქმედი, ანტი კომუნისტური ძალები. შეამჭიდროოს ისენი საერთო მტრის,—კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და აღადგინოს ეროვნული და მოქალაქეობრივი თავისუფლება.

ხუთი წლის არსებობაში „ა. კ. ი." თავის აქტივში აქვს მთელი რიგი მიღწევებისა.

კომუნისტების და მათი აგენტების შემოტევებს „ა. კ. ი." ყოველთვის მხნედ და ჯეროვანად იგერიებს და საკადრის პასუხს აძლევს. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის პირველი თავმჯდომარე იყო ჩარლს გრიიპ, ამერიკული ჯარის ყოფილი კოლონელი. მის მოადგილეებად იყვნენ: ცნობილი ამერიკელი ანტი კომუნისტები და საზოგადო მოღვაწეები; კლერინს ლაილინგერი, დრ. ველლა დოოდი, მეტიუ მეკკინი, ალფრედ ბერცინსი, ჯონ ველფი, მაიორი ს. მ. რიისი, ვ. გლაზკოვი და სხ.

1964 წლის დასაწყისში მოწვეულ კომფერენციის მიერ, ერთხმად იქმნა არჩეული თავმჯდომარეთ თავისუფალი კაზაკების უმაღლესი წარმომადგენლების თავმჯდომარე ვ. გლაზკოვი. მთავარ მდივნად ხ. შიბერი,—იზრაელის ანტიკომუნისტური ლიგის წარმომადგენელი. შეერთებული შტატების სახელით ამ ორგანიზაციაში მუშაობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე დონალდ დ. პილსბური.

ამ ჟამად „ა. კ. ი." აერთიანებს: ამერიკელებს, ალბანელებს, აზარბეიჯანლებს, ბელორუსებს, ქართველებს, კაზაკებს, კუბელებს, ლატვიელებს, ლიტველებს, ესტონელებს, მაკედონელებს, სერბებს, სლოვაკებს, ებრაელებს, ხორვატებს, უნგრელებს, ჩეხებს, ჩრდილო კავკასიელებს და უკრაინელებს.

„ა. კ. ი." საქმაინობა არა ერთხელ იქმნა ამერიკული პრესის და რადიოს მიერ აღნიშნული. მას სისტემატიურად მხარს უჭერს და ეხმარება კონგრესმენი ფრანცის ვოლტერი.

**გ. აბულაძე.**

## აღარა გვყავს აკაკი.

„და მოკვდაო! მოკვდა, მოკვდა... აღარ არის ჩვენთანაო..." ასე დასტირა აკაკი წერეთლის სამარეს ჩვენმა მგოსანმა გრიშაშვილმა.

გულამღვრეულმა განვიმეორე ეს დაქუთქული სიტყვები, დეპეშით რომ მაცნობეს აკაკი პაპავას გარდაცვალება.

მიატოვა ჩვენი ისედაც შეთხელებული გარმოხვეწილობა მისმა სხივშემოსილმა წევრმა, რომლის კალამი დაუღალავათ ემსახურებოდა „ქართლის ბედის" აწინდელ შეშფოთებულ ხვედრს.

განსვენებულის ღვაწლი და მისი შემოქმედება ჩვენს ეროვნულ აღმავლობაში ღირსეულად აღიბეჭდება ჩვენს ლიტერატურულ ფურცლებზე და აღინიშნება ვითარცა მწერლობის უმშვენიერესი ფურცელი.

ამჟამათ ვწერ ნეკროლოგს მისი სულის განსვენებისათვის. ძმურათა და მეგობრულათ ვიყავი შეკავშირებული განსვენებულისადმი სტუდენტობის დროიდან იურიევის უნივერსიტეტში. ერთათ დავამთავრეთ კურსები. ქართველთა სათვისტომომ სპეციალ სხდომაზე აღნიშნა აკაკის მნიშვნელობა ჩვენს ლიტერატურაში, რომელშიაც მას, ახალგაზრდას უკვე მოეპოვებინა შესაფერისი ადგილი. მე საჭიროთ მივიჩნივე მიმეწოდებინა ეს ცნობა საზოგადოებისათვის და ცნობის ფურცელში, რომელსაც იმ დროს რედაქტორობდა გიორგი ლასხიშვილი. დაიბეჭდა ჩემი წერილი ახლათ აღმოჩენილ ქართულ მწერლისა და კრიტიკოსის თაობაზე.

ერთათ გავემგზავრეთ მოსკოვში და სახელმწიფო გამოცდებში მივიღეთ დიპლომი პირველი ხარისხისა. შემდეგ იწყება ჩვენი თანამშრომლობა საზღვარგარეთ. ჯერ ბერლინში და დროთა მსვლელობაში სხვადასხვა ქვეყნებში. განსვენებულის რჩევითა და მის განსწავლით მუდამ ვსარგებლობდი ჩემს საჯარო და სამწერლო მოქმედებაში. მას ესიამოვნა და გულთან მიიღო ჩემი სამღვდელო სამსახური და მუდამ მთხოვდა კურთხევას ისევე, როგორც დაქვრივებული მისი მეუღლე, შესამჩნევი მწერალი თამარი, ორივენი „ქართული აზრის" თანამშრომლები.

და აი დავრჩით მარტონი, მიმოფანტულნი! დიდო ქართველო, არ უღალატებთ შენს ბრძნულ დარიგებას და ვეცდებით მივყვეთ შენს მიერ შთაგონებულ გზაკვალსა.

**რ. ინგილო.**

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ სექტემბრის 13-ს, ნიუ-იორკში გარდაიცვალა

**სიმონ სიდამონ-ერისთავი.**

„ქართული აზრის" რედაქცია თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს, შვილებს, რძალს და მეგობრებს.

EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.